

პირველი კარი - კაზუსის განხილვის მეთოდის მიმოხილვა

"კაზუსის განხილვის მეთოდი" ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებაზეა ორიენტირებული. იგი მიზნად ისახავს სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირების, არსებითი და არაარსებითი გარემოებების გამიჯვნის, დასმული პრობლემის თანმიმდევრული ანალიზისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებას. არსებითად იგი ემსახურება იურისტის პროფესიისათვის დამახასიათებელ გარემოებებში მოქმედების სწავლებას.

კაზუსის განხილვის წარმოდგენილი მეთოდი "ამერიკული"(1) და "გერმანული"(2) მიდგომების სინთეზის საფუძველზეა ჩამოყალიბებული. ამასთან, ამერიკული მიდგომისათვის დამახასიათებელი ელემენტები – არსი ("საკითხი"), წესი, ანალიზი ("შეფარდება") და დასკვნა – გამოყენებულია განხილვის ზოგადი სტრუქტურის ფორმირებისას. მათი ცალ-ცალკე ჩამოყალიბება ხელს უწყობს პრობლემის მრავალმხრივად დანახვასა და სტრუქტურირებულად განხილვას:

"არსი" პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი არსის ჩამოყალიბებას გულისხმობს და მიზნად ისახავს განსაზღვრული სამართლებრივი საკითხისა და მისი განხილვისთვის არსებითი გარემოებების გამოკვეთას;

"წესი" გამოსაყენებელ წესსა თუ პრინციპს უთითებს და განმარტავს შესაბამისი ანალიზისა და გადაწყვეტილების მისაღებად არსებით წყაროებს. ამასთან, "წესში", ე.წ. ნორმატიული საფუძვლების გარდა, განიხილება, მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილებებში ასახული ან შედარებითსამართლებრივი ანალიზის შედეგად მიღებული განმარტებები;

"ანალიზი" არსებული გარემოებების განხილვაა გამოსაყენებელ წესსა თუ პრინციპთან ურთიერთკავშირში, ანუ მოწმდება ცალკეული წესის მოქმედების წინაპირობების არსებობა;

"დასკვნაში" ყალიბდება ანალიზის შედეგი.

გერმანული მიდგომით განხორციელებული "ანალიზი" იწყება მოთხოვნის მფლობელის, მოთხოვნის ადრესატის, უშუალოდ მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლის ჰიპოთეზურ ფორმულაში – "ვინ? ვისგან? რას? საიდან?" – მოქცევით. ამ ფორმულაში ორი ქვესაკითხია გაერთიანებული: "ვინ? ვისგან?" – მოთხოვნის მფლობელისა და მოთხოვნის ადრესატის იდენტიფიცირება და "რას? საიდან?" – მოთხოვნის მიმართება მის საფუძველთან. შემდგომ ხდება მოთხოვნის საფუძვლიდან გამომდინარე წინაპირობების გამოკვეთა და მათი თანმიმდევრული შემოწმება კონკრეტული საქმის გარემოებებთან ურთიერთკავშირში. ამასთან, ანალიზის სიღრმე და დამაჯერებლობა მიიღწევა დამხმარე ნორმების, სასამართლო პრაქტიკისა თუ სხვა არსებითი წყაროების გამოყენებით.

დაბოლოს, წინაპირობების არსებობიდან თუ არარსებობიდან გამომდინარე, ჯამდება მიღებული შედეგი, შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლის გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით.

1. კაზუსის განხილვის ამერიკულ მეთოდთან დაკავშირებით იხ., მაგალითად, Nedzel, Nadia E., Legal Reasoning, Research, and Writing for International Graduate Students, New York (ASPEN), 2004, 67 et seq.

2. კაზუსის განხილვის გერმანულ მეთოდთან დაკავშირებით იხ., მაგალითად, ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდის, თბილისი ("სიესტა"), 2009.

I. მოსამზადებელი სამუშაო

როგორც ნებისმიერი სამართლებრივი საკითხის ანალიზი, ისე კაზუსის განხილვაც პრობლემის არსის იდენტიფიცირებით იწყება. შესაბამისად, მოსამზადებელი სამუშაოს პირველ ეტაპზე საქმის გარემოებების საერთო სურათის შესაქმნელად და განსახილველი პრობლემის დასასმელად მნიშვნელოვანია კაზუსის თავიდან ბოლომდე წაკითხვა.

მოსამზადებელი სამუშაოს მეორე ეტაპი კაზუსის მეორედ წაკითხვაა, რომლის დროსაც დგინდება სამართლებრივად არსებითი გარემოებები დასმულ პრობლემასთან კავშირში.

მნიშვნელოვანია ადეკვატური ინფორმაციის მოპოვების უნარის გამომუშავება. პრაქტიკული საქმიანობისას იურისტი ხშირად ისმენს სამართლებრივი თვალსაზრისით უსარგებლო ინფორმაციას. მას უყვებიან სუბიექტური დამოკიდებულების, განცდებისა და ადამიანური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი სხვა ნიუანსების შესახებ. ასეთი ინფორმაციის ფონზე იურისტი ვალდებულია, ამოიღოს საქმის გარემოებისათვის მნიშვნელოვანი, სამართლებრივად არსებითი გარემოებები და მათზე დაყრდნობით ააგოს სამართლებრივი პოზიცია.

გასათვალისწინებელია, რომ არსებითობა არ არის აბსოლუტური. შეიძლება გაიმიჯნოს გადამწყვეტი და დამხმარე მნიშვნელობის მქონე გარემოებები. არსებითი გარემოებებიდან გადამწყვეტია ის, რომელიც მოთხოვნის საფუძვლის ან მისი ცალკეული წინაპირობის განსაზღვრაზე ახდენს გავლენას. ამის საპირისპიროდ, დამხმარე მნიშვნელობის მქონედ, თუმცა მაინც არსებითად, უნდა ჩაითვალოს გარემოება, რომელსაც ეყრდნობა დამატებითი თუ გამამყარებელი არგუმენტი.

ამასთან, ცალკეული გარემოება, რომელიც ზოგადად სამართლებრივად არსებითია და იურიდიულ შეფასებას იმსახურებს, შესაძლებელია, უმნიშვნელო იყოს კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის თვალსაზრისით. შესაბამისად, თანმიმდევრულად იმიჯნება კონკრეტული საქმისთვის არსებითი გარემოებები არაარსებითისგან.

არსებობს მოსამზადებელი სამუშაოს ტექნიკურად უკეთ წარმართვის სხვადასხვა საშუალება, მაგალითად: მიზანშეწონილია, მნიშვნელოვანი გარემოებები გამოიკვეთოს, მაგალითად, ფანქრის ან სხვა მომნიშვნელოს გამოყენებით, ხოლო უმნიშვნელო – მეხსიერებიდან "ამოიშალოს";

შესაძლებელია საქმის გარემოებების სტრუქტურირება – ნუმერაციის გამოყენება მოთხოვნის საფუძვლების, მათი წინაპირობებისა და მნიშვნელოვან გარემოებათა თანმიმდევრობის განსასაზღვრავად;

თუ კაზუსში ორზე მეტი მოქმედი პირია, ხელსაყრელია მათი ურთიერთობის გრაფიკულად გამოსახვა. ნახაზში აისახება ცალკეულ პირთა ურთიერთმიმართება, მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დამფუძნებელი თუ განმსაზღვრელი ნორმების მითითებით; საქმის გარემოებებისთვის მნიშვნელოვანი თარიღების არსებობის შემთხვევაში მოსახერხებელია დროის ცხრილის ფორმირება.

სარჩევი

II. განხილვის თანმიმდევრობა

კაზუსი განიხილება შემდეგი თანმიმდევრობით: “არსი”, “წესი”, “ანალიზი” და “დასკვნა”.

1. “არსი”

“არსში” ყალიბდება განსახილველი პრობლემა. ყურადღება მახვილდება სამართლებრივად არსებით იმ გარემოებაზე, რომელიც გადამწყვეტია შესაბამისი შემთხვევის სწორი კვალიფიკაციისა და ადეკვატური შედეგის მისაღებად. პრობლემის სწორად დანახვა მიუთითებს საკითხში წვდომის სიღრმეს.

ამასთან, “არსი” “წესთან” ურთიერთკავშირში დგინდება. “არსში” გამოკვეთილი პრობლემის სწორად განსასაზღვრავად მხედველობაში მიიღება შესაბამისი გარემოებების შეფასებისას მოქმედი “წესი”.

2. “წესი”

“წესში” განსახილველი პრობლემის გადასაჭრელად გამოსაყენებელი სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება და განიმარტება.

“წესის” შინაარსსა თუ მოქმედების ფარგლებს განაპირობებს მისი არსიდან და მიზნიდან გამომდინარე განმარტება საზოგადოების განვითარების ეტაპისა და სამართლებრივ-პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება განმარტების დამხმარე მეთოდებიც(3).

წესის განმარტებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა სასამართლო გადაწყვეტილებებისა თუ სხვა ისეთი წყაროების ანალიზს ენიჭება, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება წესის მოქმედების დადგენა.

ტერმინ “სამართლის წყაროს” სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში განსხვავებული ან რამდენიმე, შინაარსობრივი მნიშვნელობა აქვს:

იგი შეიძლება გამოიყენებოდეს ცალკეული ქვეყნის წესის წარმოშობის წყაროს განსაზღვრავად. ამ გაგებით, რომის სამართალი, ჩვეულება თუ საეკლესიო სამართალი ცალკეული თანამედროვე ქვეყნის წესის წყაროა;

სხვა შემთხვევაში ეს ტერმინი გამოხატავს საფუძვლს, საიდანაც მოქმედი პრინციპი ან ქვეყნის წესი გამომდინარეობს. ამ გაგებით, სამართლის წყაროა, მაგალითად: კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულება, კანონი, კანონქვემდებარე აქტი(4).

ამასთან, შეიძლება გაიმიჯნოს სავალდებულო და დამატებითი, ე.წ. “დამარწმუნებელი” წყაროები. წესის იდენტიფიცირებისას შემფარდებელს არ აქვს უფლება, თავი აარიდოს სავალდებულო წყაროს. თუმცა მას შეუძლია, დაასაბუთოს, თუ რატომ არ მოქმედებს კონკრეტული წესი არსებულ გარემოებებში, ან რა სახის მოდიფიცირებას მოითხოვს. დამარწმუნებელი შეიძლება იყოს ნებისმიერ წყაროზე (მათ შორის, დოქტრინაზე) დამყარებული არგუმენტი.

3. “ანალიზი”

3.1 “ვინ? ვისგან? რას? საიდან?”

“ანალიზი” იწყება კაზუსში დასმული შეკითხვის შესაბამისი მოთხოვნის ერთი ან რამდენიმე საფუძვლის მოძიებით. მხარის ინტერესის განსახორციელებლად ყალიბდება მოთხოვნა ფორმულით: “ვინ? ვისგან? რას? საიდან?”.

ნებისმიერი, მათ შორის სსკ-ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს განსაზღვრულ უფლებასა თუ მოვალეობას, მიუთითებს შესაბამისი წინაპირობების არსებობისას მოთხოვნის წარმოშობაზე.

მოთხოვნის საფუძვლებისგან იმიჯნება დამხმარე ნორმები, რომლებიც არ აფუძნებენ მოთხოვნებს, თუმცა გამოიყენება მოთხოვნის წინაპირობების ან მოთხოვნასთან დაკავშირებული ცალკეული გარემოების შემოწმებისას.

3.2 მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია

რამდენიმე სავარაუდო მოთხოვნის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში წარმოიშობა მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია(5).

მოთხოვნის საფუძვლები არ უნდა განიხილებოდეს ერთმანეთისგან იზოლირებულად. მათ შორის შესაძლებელია, გამომრიცხავი თუ განმდევნი კავშირი არსებობდეს და ცალკეული მოთხოვნის არსებობა გამორიცხავდეს სხვა მოთხოვნების ან მოთხოვნის საფუძვლების შემოწმების მიზანშეწონილობას. ანალოგიურად, ზოგიერთი მოთხოვნის

საფუძვლის გამოყენების წინაპირობა შეიძლება იყოს სხვა მოთხოვნის ან მოთხოვნის საფუძვლის არსებობის გამორიცხვა.

შესაბამისად, კონკურენციისას მოთხოვნები შესამოწმებელია გარკვეული თანმიმდევრობით. ეს თანმიმდევრობა კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი არ არის, თუმცა მისი დაცვა ანალიზის ადეკვატურობისა და თანმიმდევრულობის ლოგიკიდან გამომდინარეობს.

3.2.1 სახელშეკრულებო მოთხოვნები

უპირატესად შესამოწმებელია სახელშეკრულებო მოთხოვნების საფუძვლები. მათი არსებობა თუ არარსებობა განაპირობებს ყველა სხვა სახის მოთხოვნის საფუძვლის შემოწმების მიზანშეწონილობას.

მაგალითად:

- თუ სახელშეკრულებო მოთხოვნის შემოწმებისას დადგინდა, რომ დავალების ხელშეკრულება დაიდო, ლოგიკურად აღარ იქნება
- შესამოწმებელი მოთხოვნა დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებიდან;
- ნამდვილი ხელშეკრულებით შესაძლებელია, წარმოშვას ქონების ფლობის უფლება და, შესაბამისად, მესაკუთრის მოთხოვნის შემოწმება თავისი საკუთრების უკან დაბრუნებაზე აღარ იქნება მიზანშეწონილი;
- ერთი შეხედვით, “დელოქტურ” ქმედებას თუ აღმოაჩნდება სახელშეკრულებო, ანუ სამართლებრივი, საფუძველი, ის მართლსაწინააღმდეგო ქმედებად არ ჩაითვლება;
- ასევე უსაფუძვლო გამდიდრებაც გამოირიცხება, თუ დადებული ხელშეკრულება შესრულების “საფუძველს” შექმნის.

სახელშეკრულებო მოთხოვნები იყოფა პირველად და მეორად მოთხოვნებად. პირველადი მოთხოვნა წარმოიშობა ხელშეკრულების დადებით, ხოლო მეორადი მოთხოვნა – პირველადი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

პირველადი მოთხოვნა, როგორც წესი, მოცემულია ცალკეული ხელშეკრულების მომწესრიგებელი თავის პირველსავე მუხლში.

მაგალითად, შესრულების მოთხოვნა:

- ნასყიდობაში გათვალისწინებულია სსკ-ის 477-ე მუხლის I ან II ნაწილით;
- ქირავნობისას - სსკ-ის 531-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 წინადადებით;
- იჯარის შემთხვევაში - სსკ-ის 581-ე მუხლის I ნაწილის 1-ლი ან მე-2 წინადადებით;
- ნარდობაში - სსკ-ის 629-ე მუხლის I ნაწილის წინადადების 1-ლი ან მე-2 ნახევრით.

მეორადი მოთხოვნა დამოკიდებულია ვალდებულების დარღვევის სახეზე. ამასთან, მეორად მოთხოვნებს შორის შესაძლებელია შიდა იერარქია, ასევე ალტერნატიული თუ გამომრიცხავი ურთიერთმიმართება არსებობდეს.

მაგალითად, ნასყიდობის დროს ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში:

- უპირატესად შესამოწმებელია დამატებითი შესრულების მოთხოვნა, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 490-ე მუხლის I ნაწილით;
 - შემდგომი ეტაპის – ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების – ალტერნატიული მოთხოვნები ყალიბდება, შესაბამისად, სსკ-ის 491-ე (გამოიყენება სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებთან ურთიერთკავშირში) და 492-ე მუხლებით.
- განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლები. მაგალითად:
- ზიანის ანაზღაურების უზოგადესი მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილიდან;
 - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლისას
 - გათვალისწინებულია სსკ-ის 407-ე მუხლის I ნაწილით;
 - ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილების გამო მოწესრიგებულია სსკ-ის 404-ე მუხლით.

3.2.2 სახელშეკრულებოს მსგავსი მოთხოვნები

სახელშეკრულებოს მსგავსი მოთხოვნები გამომდინარეობს ისეთი ვალდებულების დარღვევიდან, რომელსაც არ აქვს სახელშეკრულებო საფუძველი. ამასთან, ისინი ემსგავსებიან სახელშეკრულებო მოთხოვნებს მათი “განმდევნი როლით”. სახელშეკრულებოს მსგავსი მოთხოვნების არსებობამ, შესაძლებელია, არამიზანშეწონილი გახადოს სხვა სახის მოთხოვნის საფუძვლების განხილვა.

ასეთია, მაგალითად, კერძო სამართლის უზოგადესი მოქმედების სტანდარტი – სხვა პირის ინტერესების იმ მოცულობით გათვალისწინების ვალდებულება, რაც არ იწვევს თავად მოქმედების განმახორციელებლის ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას. შესაბამისი ვალდებულება გამომდინარეობს:

- კეთილსინდისიერების პრინციპის ამსახველი სსკ-ის მე-8 მუხლის III ნაწილით ან 316-ე მუხლის II ნაწილით;
 - წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში სსკ-ის 316-ე მუხლის II ნაწილისა და 317-ე მუხლის II ნაწილის ურთიერთკავშირით.
- გარდა ამისა, სახელშეკრულებოს მსგავს მოთხოვნებს განეკუთვნება “წარმომადგენლის” მიერ შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედების სამართლებრივი შედეგები. სსკ-ის 113-ე მუხლის I ნაწილით მოწესრიგებულია ნების გამოვლენის ადრესატისა თუ ხელშეკრულების მეორე მხარის მოთხოვნა ვალდებულების შესრულებაზე ან ზიანის ანაზღაურებაზე.

3.2.3 მოთხოვნები დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებიდან

შინაარსობრივად განსხვავებულ, ე.წ. კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს მიეკუთვნება დავალების გარეშე სხვისი საქმის

შესრულება. მიუხედავად ამისა, ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები სხვა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან განსხვავებულ რეჟიმში ექცევა და მათი შემოწმება სახელშეკრულებოს მსგავსი მოთხოვნების პარალელურად ხდება.

არსებითად ამის მიზეზი სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლებთან არსებული მსგავსებაა. თუ დადასტურდება, რომ პირი მოქმედებდა დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების ურთიერთობის ფარგლებში, ამან მისი თუ მის მიმართ სხვა პირთა მოთხოვნების არსებობაზე გადამწყვეტი გავლენა შეიძლება მოახდინოს. მაგალითად, მისი მოქმედება აღარ ჩაითვლება დელიქტურ ქმედებად.

დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებიდან გამომდინარე ძირითადი მოთხოვნა გათვალისწინებულია სსკ-ის 970-ე მუხლის II ნაწილით. დავალების გარეშე მოქმედ პირს (“შემსრულებელს”) აქვს “ზიანის” ანაზღაურების მოთხოვნა იმ პირისაგან, ვის საქმეებსაც იგი ასრულებდა. ამასთან, “ზიანი” ფართოდ უნდა განიმარტოს და მოიცვას შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯები(6).

მხედველობაშია ასევე მისაღები, რომ სსკ-ის 973-ე მუხლით გათვალისწინებულია შემსრულებლის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლების დაზუსტება. კერძოდ, მას შეუძლია მხოლოდ იმ ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს, რომელიც “აუცილებლად იქნა მიჩნეული”.

3.2.4 სანივთო მოთხოვნები

სანივთოსამართლებრივი მოთხოვნები “უკან იხევენ” სახელშეკრულებო და სახელშეკრულებოს მსგავს მოთხოვნებთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, მათი არსებობა თუ მოქმედების ფარგლები დამოკიდებულია შესაბამისი სახელშეკრულებო ან მსგავსი საფუძვლის არსებობაზე.

მაგალითად, სსკ-ის 172-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულია კერძო სამართლის ყველაზე მყარი მოთხოვნა – მესაკუთრის მოთხოვნა, გამოითხოვოს მფლობელისგან თავისი საკუთრება. მიუხედავად ამისა, ეს მოთხოვნა ვერ იარსებებს, თუ მფლობელს ექნება ფლობის სამართლებრივი საფუძველი, მაგალითად, ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულებიდან.

3.2.5 მოთხოვნები დელიქტიდან და უსაფუძვლო გამდიდრებიდან

დელიქტიდან და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნები ერთმანეთთან კონკურენციაში არ იმყოფებიან და, შესაბამისად, მათი თანმიმდევრობა არაარსებითია.

ეს მოთხოვნები კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ და მხარეთა ინტერესებს შორის დარღვეული

თანაფარდობის აღდგენას სწორედ კანონმდებლობით განსაზღვრული “გამაწონასწორებელი” გზით ითვალისწინებენ.

მათ წარმოშობაში ურთიერთობის მხარეთა ნების გამოვლენა არ მონაწილეობს და, ამდენად, ისინი ყველაზე ნაკლებ “სასურველ” კერძოსამართლებრივ ურთიერთობებად ყალიბდებიან. მათი დაფუძნების სტადიაზე კერძო სამართლის ფუძემდებლური, მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი არ მოქმედებს და მხოლოდ ამ მოთხოვნების განხორციელების ეტაპიდან იძენს მნიშვნელობას(7). შესაბამისად, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნები, როგორც ყველაზე ნაკლებ სასურველნი, “უკან იხევენ” სხვა სახის კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებთან მიმართებით.

მაგალითად, სსკ-ის 976-ე მუხლის I ნაწილითა და სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების წინაპირობების შემოწმებისას არ უნდა დგინდებოდეს შესაბამისი მოქმედების განხორციელების ვალდებულებითი ან სანივთოსამართლებრივი საფუძველი.

დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნების წარმოშობასთან დაკავშირებით მხედველობაში მიიღება მართლსაწინააღმდეგოობის გამომრიცხავი კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, როგორიცაა, მაგალითად, მოქმედება აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობისა ან თვითდაცმარების ფარგლებში(8).

ამასთან, სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, უკიდურესი აუცილებლობის პირობებში მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა იმ პირის მიმართ, რომელმაც შექმნა უფრო მნიშვნელოვანი ზიანის დადგომის საფრთხე. წინაპირობაა ის, რომ ამ ზიანის თავიდან აცილება არ უნდა შეიძლებოდეს სხვა, უფრო ნაკლებად მძიმე შედეგის გამომწვევი საშუალებით და ეს ზიანი თავიდან აცდენილზე “ნაკლებ მნიშვნელოვანი” იყოს.

კიდევ ერთი, სპეციალური მოთხოვნა კანონმდებელმა თვითდაცმარებასთან ურთიერთკავშირშიც გაითვალისწინა. სსკ-ის 120-ე მუხლით მოწესრიგებულია ზიანის ანაზღაურების სპეციალური მოთხოვნის საფუძველი იმ პირის მიმართ, რომელიც მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილების მცდარი ვარაუდით.

3.2.6 პიროვნული უფლების ხელყოფიდან გამომდინარე მოთხოვნები

თავისი არსით პიროვნული უფლების ხელყოფიდან გამომდინარე მოთხოვნა შინაარსობრივად ემსგავსება დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნას – ითვალისწინებს სამართლებრივად დაცულ სფეროში უკანონო შეჭრის აღკვეთას.

მიუხედავად ამისა, პიროვნული უფლების ხელყოფიდან გამომდინარე მოთხოვნების ცალკე ჯგუფად გამოყოფის მიზანშეწონილობა სწორედ ამ დაცული სფეროს თავისებურებით არის განპირობებული. ხელყოფისას მხედველობაში მიიღება პიროვნული უფლებების “კომერციალიზაციის”

საფრთხის თავიდან არიდების ინტერესი. ეს მოთხოვნის შინაარსზე ახდენს გავლენას. უპირატესობა ენიჭება ხელყოფის შეწყვეტისა და მასზე შემდგომში უარის თქმის, ასევე არასწორი ინფორმაციის გავრცელებისას მათი უარყოფისა და საპასუხო ცნობების გავრცელების მოთხოვნას.

მაგალითად, სსკ-ის მე-18 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულია სახელის უფლების ხელყოფის – “სახელის ტარების უფლების შეცილებისა” და “სახელით უნებართვო სარგებლობის” – შემთხვევებში, მოთხოვნა ხელყოფის მიმართ ამ მოქმედების შეწყვეტასა და შემდგომში ასეთ ქმედებაზე უარის თქმაზე(9).

შესაბამისად, მატერიალური კომპენსაციის, ანუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობა განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც წესი, ხელყოფის ბრალისა და ქონებრივი ზიანის არსებობისას უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად(10). ამ დროს პიროვნული უფლებების დაცვის მსგავსება დელიქტთან გამოკვეთილია.

თუ არ იარსებებდა პიროვნული უფლების ხელყოფიდან გამომდინარე სპეციალური მოთხოვნები, პირს შესაბამისი მოთხოვნები სწორედ დელიქტიდან გამომდინარე წარმოეშობოდა. ამდენად, დელიქტიდან და პიროვნული უფლების ხელყოფიდან გამომდინარე მოთხოვნები კუმულაციურად თუ ერთმანეთის შემვსებად(11) არის განსახილველი.

3.3 წინაპირობების შემოწმება

მოთხოვნის საფუძვლის იდენტიფიცირების შემდგომ ხორციელდება შესაბამისი მოთხოვნის წინაპირობების შემოწმება. ცალ-ცალკე მოწმდება ყველა წინაპირობა, ვინაიდან ერთი მათგანის არარსებობაც საკმარისია მოთხოვნის არარსებობის დასადგენად.

ვინაიდან ამ ეტაპის მიზანი მოთხოვნის თითოეული წინაპირობის თანმიმდევრული შემოწმებაა, შესაძლებელია მოთხოვნის წარმოშობის, არსებობისა და განხორციელებადობის ლოგიკური ჯაჭვის ფორმირება.

3.3.1 მოთხოვნის წარმოშობა

“წარმოშობა” მოთხოვნის შემოწმების პირველი ეტაპია, რომლის დროსაც დგინდება მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებისა და მისი წარმოშობის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა.

მაგალითად, სახელშეკრულებო მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელია ხელშეკრულების დადების წინაპირობები: ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა და შესაბამისი ხელშეკრულების ტიპისათვის არსებით პირობებზე შეთანხმება (სსკ-ის 327-ე მუხლი). გარდა ამისა, არ უნდა არსებობდეს ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოება, რაც ბათილობის საფუძვლის არარსებობას გულისხმობს (სსკ-ის 54-ე-59-ე მუხლები).

3.3.2 მოთხოვნის არსებობა

“არსებობა” თუ გაუქმარწყლებლობა მოთხოვნის შემოწმების მეორე ეტაპია, რომლის დროსაც მოწმდება წარმოშობილი მოთხოვნის შემდგომი გაქმარწყლების გამომწვევი გარემოებებისა თუ იურიდიული ფაქტების არსებობა.

მაგალითად, ვალდებულების შეწყვეტას იწვევს: შესრულება (სსკ-ის 427-ე მუხლი) ან შესრულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღება (სსკ-ის 428-ე მუხლი), დეკონირება (სსკ-ის 434-ე მუხლი), ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (სსკ-ის 442-ე მუხლი) ან ვალის პატიება (სსკ-ის 448-ე მუხლი).

გარდა ამისა, შესაბამისი მოთხოვნა აღარ იარსებებს, მაგალითად: შესრულების შეუძლებლობის (სსკ-ის 405-ე მუხლის II ნაწილის “ა” ქვეპუნქტი), ხელშეკრულებიდან გასვლის (სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლები), შეცდომებისა (საცილობის საფუძვლის არსებობისას ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, სსკ-ის 59-ე მუხლის II-III ნაწილები) და მოთხოვნის დათმობის (სსკ-ის 198-ე მუხლის I ნაწილი) შემთხვევაშიც.

3.3.3 მოთხოვნის განხორციელებადობა

“განხორციელებადობა” მოთხოვნის შემოწმების დასკვნითი ეტაპია, რაც გულისხმობს შესაგებლის არარსებობას. შესაბამისად, მოწმდება ისეთი გარემოებები, რომლებიც წარმოშობილ და არსებულ მოთხოვნას განუხორციელებელს ხდის.

მაგალითად, ასეთი საფუძვლებია: ხანდაზმულობა (სსკ-ის 144-ე მუხლის I ნაწილი), შესრულებისაგან თავის შეკავების უფლება (სსკ-ის 369-ე მუხლი), უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის დათქმა (სსკ-ის 115-ე მუხლი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან უკან დაბრუნების მოთხოვნის შეზღუდვა (მაგალითად, სსკ-ის 976-ე მუხლის II ნაწილი და 977-ე მუხლის II ნაწილი).

4. დასკვნა

დასკვნაში ყალიბდება მიღებული შედეგი. იგი ზუსტი, ანუ არაორაზროვანი, და ლაკონიური უნდა იყოს.

3. განმარტების ძირითად და დამხმარე მეთოდებთან დაკავშირებით იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი (“ემსი”), 2009, 74 და შემდგომი, ხოლო მეთოდების ევოლუციის შესახებ იქვე, 65 და შემდგომი.

4. შეად. Vogenauer, Sources of Law and Legal Method in Comparative Law, in: Reimann/Zimmermann (eds.), The Oxford Handbook of Comparative Law, Oxford (University Press), 2006, 877 et seq.
5. იხ. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი („ეშსი“), 2011, 20 და შემდგომში.
6. “ხარჯების” ცნების გამოყენებასთან დაკავშირებით იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 216.
7. კერძოსამართლებრივ ურთიერთობასა და მასში კანონისმიერი ურთიერთობების გაერთიანების დასაბუთებასთან დაკავშირებით იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 80 და შემდგომში.
8. იხ. სსკ-ის 116-ე-119-ე მუხლები.
9. იხ. სსკ-ის მე-18 მუხლის I-V ნაწილები.
10. იხ. სსკ-ის მე-18 მუხლის VI ნაწილი.
11. იხ. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, 2011, 42 და შემდგომში.

III. ანალიზი

კაზუსის განხილვისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიღებული შედეგი, არამედ შესაბამისი შედეგისკენ მიმავალი გზაც. ამასთან, “სამართლებრივად მეტყველება” და აზრის სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება არსებითად განაპირობებს გადმოცემულის სწორ აღქმას.

1. აზრის სტრუქტურირება და ჩამოყალიბების სტილის შერჩევა

განხილულ საკითხთა წრესა და თანმიმდევრობას ლოგიკური ახსნა უნდა ჰქონდეს.

დაუშვებელია ყურადღების გამახვილება სამართლებრივად არაარსებით ან განსახილველი პრობლემისთვის უმნიშვნელო გარემოებებზე და მათი სამართლებრივი შეფასების მცდელობა.

ხოლო ის, რაც არსებითია, შეიძლება, შემთხვევის გარემოებებიდან უტყუარად გამომდინარეობდეს (დადგენილი იყოს) ან დამატებით შეფასებას, სამართლებრივ ანალიზს საჭიროებდეს; იმას, რაც

დადგენილია, შემოწმება აღარ ესაჭიროება და “მტკიცებითი” ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს; ამის საპირისპიროდ, ის, რაც შესაფასებელია, უნდა შემოწმდეს “ალბათობის” ფორმით.

ამასთან, მოსარიდებელია სტილის აღრევა: თანაბრად მიუღებელია როგორც საქმის გარემოებებში მოცემული ფაქტების ალბათობის ფორმით, ისე შესამოწმებელი გარემოებების შეუმოწმებლად მტკიცებითი ფორმით ჩამოყალიბება.

ცალკეული პრობლემის ანალიზიც მსჯელობის ლოგიკურ ჯაჭვს მოითხოვს:

- მსჯელობა საკითხის დასმით იწყება, რაც შესამოწმებელი პრობლემის იდენტიფიცირებასა და “ალბათობის” ფორმით ჩამოყალიბებას გულისხმობს;
- მომდევნო ეტაპზე ხორციელდება დასმული საკითხის გადაწყვეტისათვის ყველა არსებითი წინაპირობის წარმოჩენა;
- შემდგომ ცალკეული წინაპირობა მოწმდება კონკრეტული საქმის გარემოებებთან ურთიერთკავშირში;
- დაბოლოს, მიღებული შედეგი მტკიცებითი ფორმით ფიქსირდება.

ამასთან, კონკრეტული საკითხის ანალიზისას მიღებული შედეგი შუალედური დასკვნის სახით ყალიბდება. ეს სასურველია იმ შემთხვევებში, თუ კაზუსის განხილვისათვის ერთზე მეტი საკითხის დასმა და განხილვაა აუცილებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული შედეგი, ზოგადად, კაზუსის განხილვის შემაჯამებლად უნდა ჩაითვალოს და უშუალოდ დასკვნაში ჩამოყალიბდეს.

2. ანალიზის ამომწურავობა

ანალიზი ამომწურავია, თუ განხილულია დასმულ საკითხთან დაკავშირებული არსებითი არგუმენტები და გამოკვეთილია ავტორის პოზიცია. ეს, ცხადია, არ ნიშნავს არაერთგვაროვნად შეფასებადი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას ალტერნატიული გადაჭრის გზების წარმოჩენის დაუშვებლობას.

შესაძლებელია, კონკრეტული პრობლემის განხილვისას სხვადასხვა მოსაზრების შეპირისპირება, ავტორის აზრით, უპირატესის გამოკვეთა, ან მათი შეჯერება გახდეს საჭირო. მნიშვნელოვანია, პოზიციებისა თუ თეორიების ზოგადი ანალიზის ნაცვლად, უშუალოდ განსახილველ პრობლემასთან ურთიერთკავშირში მყოფი საკითხების წარმოჩენა. გადამწყვეტია არა ამა თუ იმ თეორიისა თუ მიდგომის ცოდნა, არამედ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზის პოვნა.

განსხვავებული მიდგომაა სავალდებულო და დამარწმუნებელი წყაროების გამოყენების თვალსაზრისით.

სავალდებულოა ნორმატიული წყაროებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოხატული პოზიციის განხილვა. თუმცა შესაძლებელია დასაბუთდეს, თუ რატომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში მათი გაზიარება, მაგალითად, ფაქტობრივი გარემოებების

განსხვავებულობის ან მიღებული შედეგის კანონის მიზნიდან თუ სამართლებრივ-პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე დაუშვებლად მიჩნევის გამო.

დამარწმუნებელი წყაროს შერჩევა მიზნად ისახავს ჩამოყალიბებული პოზიციის გამყარებას. ღირებულია ნებისმიერი არგუმენტი, რომელიც, შესაძლებელია, დასმული საკითხის გადაწყვეტისას კონკრეტულ პოზიციას ამართლებდეს.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები შესასრულებელი დავალების ფორმატი. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო აუდიტორიაშია შესასრულებელი და ხელმისაწვდომია მხოლოდ ნორმატიული წყაროები, არ არის სავალდებულო სხვა წყაროების ციტირების ტექნიკის სრული დაცვით მითითება. საკმარისია, მაგალითად, იმის აღნიშვნა, რომ შესაბამისი ხედვა სასამართლო პრაქტიკით არის დადგენილი, ან ამა თუ იმ სამეცნიერო წყაროს მიხედვითაა მითითებული.

ამის საპირისპიროდ, სახლში შესასრულებელი სამუშაოს ფორმატში სავალდებულოა ადეკვატური ციტირების ტექნიკის დაცვა. წყაროები მისათითებელია იმ სიზუსტით, რომ მათი მოძიებისას მკითხველმა მაქსიმალურად ნაკლები დრო დაკარგოს. მაგალითად, სამეცნიერო წყაროს ციტირებისას ეს გულისხმობს მინიმუმ ავტორის, ნაშრომის სათაურის, გამოცემის წლისა და შესაბამისი გვერდების მითითებას.

მნიშვნელოვანია, არ მოხდეს სხვისი აზრის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი მითვისება. ამ თვალსაზრისით, სავალდებულოა კონკრეტულ საკითხზე გამოთქმული პოზიციების სრულად მიმოხილვა. თუმცა ეს არ ნიშნავს ყველა სახის გამოქვეყნებული თუ სხვა მხრივ ხელმისაწვდომი ლიტერატურის განხილვის ვალდებულებას. განსახილველია დასმულ საკითხთან მიმართებით არსებითი და ორიგინალური პოზიციის გამომხატველი ნაშრომები.

არსებითია პოზიცია, რომელიც დასმული საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, მაგალითად, ჩამოყალიბებული პოზიციის გამყარების, კონტრარგუმენტების განჭვრეტისა და გაბათილების თვალსაზრისით. თუ, ავტორის აზრით, კონკრეტული პოზიცია იმდენად “აბსურდულია”, რომ მისი განხილვა აზრს მოკლებულია, ის ვალდებულებია, მხედველობაში საერთოდ არ მიიღოს ასეთი მოსაზრებები. მათზე არც მან და არც მკითხველმა დრო არ უნდა დაკარგოს.

ორიგინალობა წყაროსა თუ აზრის ავტორის ზუსტი იდენტიფიცირების თვალსაზრისით დგინდება. მითითებულ ნაშრომში სათანადო ციტირების არარსებობის გამო დამდგარ შედეგზე – სხვისი აზრის მითვისებაზე – პასუხისმგებლობა შესაბამისად ნაწილდება როგორც თავდაპირველ პლაგიატორზე, ისე მასზე, ვინც შეცნობადად სხვისი აზრი არასათნადო ავტორს მიაწერა. ციტირების ავტორს მოეთხოვება იმის იდენტიფიცირება, მის მიერ გაზიარებული თუ საყურადღებოდ მიჩნეული პოზიცია ნამდვილად მითითებულ წყაროში გამოითქვა, თუ ეს მხოლოდ სხვისი ნაშრომის გაცნობის საფუძველზე მითვისებული პოზიციაა.

ზოგადად, დამარწმუნებელი წყაროების სამართლებრივი ღირებულების ამოცნობისას მნიშვნელოვანია მათი სანდოობის გადამოწმება. მაგალითად, სამეცნიერო ნაშრომში გამოთქმული კოზიციის მითითებისას არსებითია შესაბამისი ნაშრომის მეცნიერულობის დადგენა, რაც კვლევის სიღრმითა და გამოყენებული ციტირების ტექნიკით განისაზღვრება. თუ ავტორი უარს ამბობს გამოყენებული წყაროების სათანადო მითითებაზე, ის ამით ავტომატურად განსაზღვრავს, რომ მის ნაშრომს არასამეცნიერო, უკეთეს შემთხვევაში, “სახელმძღვანელო მიმოხილვის”, მნიშვნელობას ანიჭებს. ზოგადად, ასეთი ნაშრომების დამარწმუნებელ წყაროდ მიჩნევა და ციტირება არასასურველია, თუნდაც იმიტომ, რომ თავად ავტორი არ ანიჭებს თავის მიერ დაწერილს მეცნიერულ ღირებულებას.

3. “სამართლებრივი” ენა

იურიდიული ენა ზუსტი, ანუ მკაცრად ლოგიკურია. ამ თვალსაზრისით “სამართლებრივი მეტყველება” არსებითად სამეცნიერო ენის მსგავსია.

3.1 აზრის სიზუსტე

იურიდიული ენა არ ხასიათდება სირთულითა და მაღალფარდოვნებით.

შესაბამისად, დასაძლევია რთული წინადადების აგებისადმი მიდრეკილება. ნაშრომის სიმდიდრე ვლინდება აზრის ლაკონურად გადმოცემაში. მნიშვნელოვანია, აზრი იყოს ღრმა, ხოლო გადმოცემული მაქსიმალურად მარტივი ენით.

მოსარიდებელია მაღალფარდოვანი ფრაზების გამოყენება. ზედმეტი სიტყვა ქმნის აზრის არასწორად გაგების საფრთხეს, ყურადღებას უღუწებს მკითხველს და შესაძლებელია, იგი (ყურადღება) მნიშვნელოვანიდან უმნიშვნელოზე გადაიტანოს. მკითხველი “ნეიტრალური” სიტყვის მიღმა ეძებს შინაარსს, რომელიც ავტორს არ უგულისხმია. მაღალფარდოვანი ბუნდოვანი ფრაზა ართულებს სათქმელის გარკვევას.

სხვადასხვა წინადადება ერთიან აზრად დამაკავშირებელი სიტყვებით იქცევა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწორი დამაკავშირებელი სიტყვების შერჩევა. ისინი კრავს ტექსტს და საკითხების თანმიმდევრული და სწორი აღქმისათვის შეუცვლელია. დამაკავშირებელი სიტყვა სხვადასხვა წინადადების დაწერის მიზნის გარკვევის დამატებითი ბერკეტია.

მაგალითად, სიტყვა “უპირველესად” მიუთითებს მსჯელობის საწყისს, პირველ არგუმენტს, “შემდგომ” – მომდევნო არგუმენტს, “დაბოლოს” ასრულებს ტექსტს დამაგვირგვინებელი არგუმენტით. “შემდგომის” ნაცვლად, უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია სიტყვების “აგრეთვე” ან “ასევეს” გამოყენება, ხოლო კონტრარგუმენტს წინ უძღვის ყურადღების გამამახვილებელი სიტყვა, მაგალითად: “ამასთან”, “თუმცა” ან “მაგრამ”.

“ამასთან” შეიძლება, კონტრარგუმენტის ნაცვლად, წინ უძღოდეს დამატებით ან განმვრცობ მოსაზრებასაც. ანალოგიურად დაკავშირებული მოსაზრების გამოსაკვეთად გამოიყენება “შესაბამისად” ან “ამდენად”. როდესაც ავტორს სურს ორი ურთიერთდაკავშირებული არგუმენტის გამოყენება, მკითხველის ყურადღების გამახვილება შესაძლებელია “ერთი მხრივ” და “მეორე მხრივ” შესიტყვებათა გამოყენებით.

უპირატესობა ენიჭება მოკლე წინადადებებს. აზრის რამდენიმე დაკავშირებულ წინადადებად ჩამოყალიბება აუმჯობესებს სათქმელის ადეკვატურ აღქმას. თუმცა აზრის სიზუსტე ფრაზის სიმარტივის მსხვერპლი არ უნდა გახდეს.

3.2 მიმართება ზოგად ენობრივ მნიშვნელობასთან

ხშირად ერთსა და იმავე სიტყვას თუ ფრაზას შეიძლება ჰქონდეს სალაპარაკო ენაში დამკვიდრებული და სამართლებრივი მნიშვნელობა. ზოგიერთი ფრაზა იმდენად გამჯდარია ქართულ მეტყველებაში, რომ მისი სამართლებრივად სწორი ფორმით ჩანაცვლება არათანაზომიერად რთული და, შესაბამისად, გაუმართლებელია. სხვათა არასწორი გამოყენება კი არაიურისტის მიერაც არ არის სასურველი, ვინაიდან ეს, ზოგადად, ერის სამართლებრივი კულტურის გამომხატველია.

პირველი შემთხვევის საილუსტრაციო მაგალითია ბილეთის “ყიდვა”. “ყიდვა” სამართლებრივად ნასყიდობის ხელშეკრულებას გულისხმობს, ამ ხელშეკრულების შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას. თუმცა სამართლებრივი შედეგი ამ ხელშეკრულების დადების მიზნისგან მკვეთრად განსხვავდება. ინდივიდი ბილეთს სამართლებრივი თვალსაზრისით კი არ ყიდულობს, ანუ მიზნად ისახავს მასზე არა საკუთრების უფლების მოპოვებას, არამედ შესაბამისი მომსახურების მიღებას. ამდენად, სამართლებრივად ნასყიდობის ნაცვლად, მაგალითად, თეატრისა თუ კინოს ბილეთის “ყიდვისას” შერეული ტიპის ხელშეკრულება იდება უპირატესად ნარდობისა (მომსახურებისა) და ქირავნობის ხელშეკრულებების ელემენტებით, ხოლო ავტობუსისა თუ თვითფრინავის ბილეთის “ყიდვისას” გადაყვანის ხელშეკრულება.

მეორე შემთხვევის მაგალითია სიტყვა “დანაშაულის” თუ “დამნაშავის” არასწორი გამოყენება. ქმდება დანაშაულად, შესაბამისად მისი ჩამდენი – დამნაშავედ მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის მომენტიდან ითვლება. ამის საპირისპიროდ, ამ სიტყვას თუ მის შემცველ ვარიაციებს ხშირად უადგილოდ და უშინაარსოდ იყენებენ.

შესაბამისად, “არაიურიდიულ” მეტყველებაშიც უპირატესობა ენიჭება სწორ სამართლებრივ ფორმულირებას, თუ იგი არათანაზომიერად არ ართულებს სათქმელის აღქმას.

3.3 სამართლებრივი ხასიათის გაცნობიერება

მხედველობაშია მისაღები კონკრეტული ურთიერთობის სამართლებრივი შინაარსი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი ხასიათის გაცნობიერება.

სამართლებრივი შედეგების დადგომა ხშირად არ არის დამოკიდებული ინდივიდის მიერ მისი მოქმედების მნიშვნელობის აღქმაზე. გადამწყვეტი საზომია სამართლებრივი შედეგების ობიექტური შეცნობადობა. ამდენად, ნებისმიერი ქმედება, რომელიც გულისხმობს სხვათა ინტერესების სფეროში შეჭრის თუნდაც შესაძლებლობას, ექვემდებარება სამართლებრივ შეფასებას.

ამასთან, ცალკეული ურთიერთობა, სწორედ მისი შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია კერძო სამართლის მოქმედების სფეროში მოექცეს, ან მის ფარგლებს მიღმა სამართლის სხვა სფეროს განეკუთვნოს. მაგალითად: სხვისი კალმის აღება, თუ ეს ამ პირის თანდასწრებით და (თუნდაც სავარაუდოდ) თანხმობით ხდება, თხოვების ხელშეკრულების დადება, ხოლო მის დაუსწრებლად და მისი (თუნდაც სავარაუდოდ) თანხმობის გარეშე – ქურდობა.

გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადამიანები სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ და მეტყველებენ. თუ ადამიანს უკავია ისეთი თანამდებობა, რომელიც მას სახელმწიფო ორგანოდ აქცევს, ის “ორმაგი ცხოვრებით” იწყებს ცხოვრებას: არასამსახურებრივ ვითარებაში, “ჩვეულებრივი” ადამიანი რჩება, მაგალითად, ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ურთიერთობაში, ხოლო სხვა შემთხვევებში, როდესაც საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს, ის სახელმწიფოს სახელით, ანუ ამ სახელმწიფოს მოსახლეობის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოქმედებს.

სხვა სახის სამართლებრივი თავისებურებებით ხასიათდება, მაგალითად, ფრაზა “პურის ყიდვა”, რომლის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან ნასყიდობის ხელშეკრულების დადება შეიძლება ივარაუდებოდეს, თუმცა სამართლებრივი შედეგის დასადგომად, – რათა პირმა გადახდილი საფასურის სანაცვლოდ პური და მასზე საკუთრების უფლება მოიპოვოს, – აუცილებელია სამი ხელშეკრულების დადება:

1) ვალდებულებითსამართლებრივი ნასყიდობა, რომელიც წარმოშობს ერთი მხარისთვის პურისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებას, ხოლო მეორე მხარისთვის ამ პურის მიღებისა და მისი საფასურის გადახდის ვალდებულებას;

2) პურზე საკუთრების უფლების გადაცემის სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება, როდესაც ერთი პირი გადასცემს, ხოლო მეორე თანახმაა, მიიღოს პური და მასზე საკუთრების უფლება;

3) საფასურზე (ფულზე) საკუთრების უფლების გადაცემის სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება, როდესაც ერთი პირი გადასცემს, ხოლო მეორე თანახმაა, მიიღოს საფასური და მასზე საკუთრების უფლება.

ამდენად, თუ დაიდებოდა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულება, ინდივიდი პურზე მხოლოდ მოთხოვნას მოიპოვებდა, შესაბამისად, ის პურზე მოთხოვნით, მაგრამ პურის გარეშე დარჩებოდა.

მეორე კარი – სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის კაზუსები

IV. უფლებაუნარიანობა

1. უფლებაუნარიანობის წარმოშობა

ანი სამყაროს ახალი წლის დამდეგს, ზუსტად 23 საათსა და 59 წუთზე მოეკლინა. რამდენიმე წამში მისმა იურისტმა ბიძამ ნაცნობ-მეგობრებს ახალი წლის მილოცვასთან ერთად სამართლებრივი ურთიერთობის ახალი სუბიექტის მოვლენა აცნობა. ხოლო ახალი წლის პირველსავე სამუშაო დღეს ანის სახელზე ბანკში სპეციალური ანაბრის გახსნა გადაწყვიტა. ბანკის თანამშრომლის გაოცებას - როგორ შეიძლება რამდენიმე დღის ბავშვს საკუთარი ანაბარი და, მით უმეტეს, მასზე ამხელა თანხა ჰქონდეს, - ის მშვიდი სახით პასუხობს, რომ “ეს თითოეული ადამიანის ბუნებით დაყოლილი უფლებაა და მას ვერავინ შეუზღუდავს.” აქვს ანის რაიმე უფლება?

არსი

ინდივიდის დაბადება შეიძლება განაპირობებდეს ცალკეული უფლების წარმოშობას.

წესი

უფლებაუნარიანია ყველა ადამიანი. ადამიანის ფიზიკურ პირად (სამართლის სუბიექტად) და, შესაბამისად, უფლებაუნარიანად აღიარება უკავშირდება ერთდერთ გარემოებას – მის სიცოცხლეს.

სსკ-ის მე-11 მუხლის I ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა “წარმოიშობა დაბადების მომენტიდან”.

„დაბადებაში“ იგულისხმება ცოცხალი ბავშვის სრული გამოყოფა დედის სხეულიდან. უფლებაუნარიანობა წყდება ადამიანის გარდაცვალებით, ანუ, სსკ-ის მე-11 მუხლის IV ნაწილის თანახმად, “თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტით.”(12)

ანალიზი

შესაძლებელია, ანის დაბადებით უფლებაუნარიანობა და, შესაბამისად, ბანკში ანაბრის ქონის უფლება მოეპოვებინა.

წინაპირობაა ანის დაბადება.

კაზუსის გარემოებებით დადგენილია, რომ “ანი სამყაროს ახალი წლის დამდეგს, ზუსტად 23 საათსა და 59 წუთზე მოევლინა.” შესაბამისად, ანი დაბადებულია. ამ გარემოებაში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, ბიძის მოქმედება, გახსნას ანის სახელოზე საბანკო ანაბარი, ანის სამართლებრივ სარგებელს ანიჭებს. ანი იღებს უფლებას ისე, რომ არ იტვირთება მოვალეობით. ამდენად, არ არსებობს სამართლებრივი არგუმენტი, თუ რატომ უნდა შეიზღუდოს იგი შესაბამის უფლებაში.

დასკვნა

ანი უფლებაუნარიანია, ანუ მას აქვს “უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები”, მათ შორის, ბანკში ანაბარი.

2. ჩანასახის პირობითი უფლებაუნარიანობა

ანის მამა დაბადებამდე სამი თვით ადრე გარდაეცვალა. მემკვიდრეობა ორი სახლის, ავტომობილისა და სხვა მრავალი სასარგებლო თუ უსარგებლო ნივთისგან შედგება. ანის 18 წლის ძმა, ბენო, მიიჩნევს, რომ ის მამამისის ერთადერთი მემკვიდრეა.

აქვს ანის რაიმე მოთხოვნა?

არსი

შესაძლებელია, პირს უფლებები, პირობითად, დაბადებამდე წარმოეშვას.

წესი

ჩანასახს აქვს პირობითი უფლებაუნარიანობა. მაგალითად, სსკ-ის მე-11 მუხლის II ნაწილით გათვალისწინებულია ჩანასახისთანავე “მემკვიდრედ ყოფნის” უფლების წარმოშობა, რომლის “განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე”.

ამასთან, ჩანასახის უფლებაუნარიანობის შეზღუდვა (მხოლოდ მემკვიდრეობა უნარიანობასთან დაკავშირება (13)), შედარებითსამართლებრივი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, უარსაყოფია. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ჯერ კიდევ რომის

სამართალში მოქმედ პრინციპს, რომ ჩანასახი უკვე დაბადებულად განიხილება, თუ ეს მისთვის სარგებლის მომტანია(1)

ანალიზი

ანის მემკვიდრედ ყოფნის უფლება შეიძლება წარმოშობოდა სსკ-ის მე-11 მუხლის II ნაწილიდან გამომდინარე.

წინაპირობაა ის, რომ იგი მამის გარდაცვალების მომენტში უნდა ყოფილიყო ჩასახული. ამ შემთხვევაში ის პირობითად უფლებიანად განიხილებოდა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ეს უფლება მისთვის სარგებლის მომტანად ჩათვლილიყო.

ამ შემთხვევაში საქმის გარემოებებიდან უტყუარად დგინდება, რომ ანი მამის გარდაცვალების მომენტში ჩასახული იყო (“მამა დაბადებამდე სამი თვით ადრე გარდაეცვალა”). ამასთან, ანი უფლებაუნარიანად აღიარების შემთხვევაში მხოლოდ სამართლებრივ სარგებელს მიიღებს.

დასკვნა

ანის წარმოეშვა მემკვიდრედ ყოფნის უფლება.

3. დაბადებამდე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

ანის დედა მშობიარობამდე მცირე ხნით ადრე ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვდა. მას ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ტროტუარზე ნასვამი ბენო ავტომანქანით დაეჯახა. იგი მძიმედ არ დაშავებულა. თუმცა მოგვიანებით, ანის გამოკვლევისას, დგინდება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევისას მის ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაღწა და პერიოდულ მკურნალობას საჭიროებს.

აქვს ანის რაიმე მოთხოვნა?

არსი

ჩანასახის პირობითმა უფლებაუნარიანობამ შესაძლებელია, განაპირობოს დაბადებამდე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობა.

წესი

უფლებაუნარიანობა ადამიანის ღირსებიდან გამომდინარეობს და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზების წინაპირობაა. შეუძლებელია, ადამიანი თავისუფლად განვითარდეს, მისი ინტერესების განხორციელებისთვის აუცილებელი უფლებების მოპოვების გარეშე.

სსკ-ის 992-ე მუხლით “პირს” ენიჭება მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ამასთან, “პირი” ჩანასახის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ ნორმებთან ურთიერთკავშირში უნდა განიმარტოს. კერძოდ, მან უნდა მოიცვას პირობითი უფლებაუნარიანობის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც.

მხედველობაშია მისაღები, რომ, ადამიანის ღირსებისა თუ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე, მიუღებელი იქნებოდა “პირის” ვიწროდ, ზიანის დადგომის მომენტამდე დაბადებულად, განმარტება. ამით პირი დაკარგავდა მოთხოვნას, რომელიც მას ჩანასახად ყოფნის პერიოდში მიუყენებელი ზიანის გამო უნდა წარმოშობოდა(15).

შესაბამისად, მიუღებელი იქნებოდა სსკ-ის 992-ე მუხლის ადამიანის ლეგიტიმური უფლებების წარმოშობის სამართლებრივი აღიარების საწინააღმდეგო განმარტება.

შედარებისათვის, მაგალითად, გერმანულ სამართალში შესაბამისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებად მიიჩნევა ჯერ კიდევ ჩასახვამდე დედის დაინფიცირებითა და შემდგომ ავადმყოფობის ბავშვზე გადასვლის შემთხვევაშიც(16).

ანალიზი

ანის ბენოს მიმართ შესაძლებელია ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სსკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე.

მოთხოვნის არსებობის წინაპირობებია: ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), ზიანი, მიზეზობრიობა ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

საქმის გარემოებებიდან არცერთი ამ წინაპირობის არსებობა არ არის სადავო და დამატებით განხილვას არ მოითხოვს. ამ შემთხვევაში პრობლემური შეიძლება იყოს ის, რომ ანი ზიანის მიყენების მომენტში ჯერ არ იყო დაბადებული. შესაბამისად, იგი არ იყო უფლებათნარჩენი, რასაც შეიძლება მისი უფლებისა თუ მოთხოვნის წარმოშობა შეეფერხებინა.

თუმცა ადამიანის ღირსებიდან თუ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარეობს ჩანასახის პირობითი უფლებათნარჩენობა, რომელიც ჩანასახის სამართლებრივი სარგებლის მინიჭებითა თუ მისი ინტერესების უპირობო დაცვით არის ნაკარნახევი. ამდენად, მიზანშეწონილია სსკ-ის 992-ე მუხლის შინაარსშიც “პირი” ჩანასახის უფლებების დაცვით ადეკვატურად განიმარტოს. შესაბამისი მოთხოვნა უნდა გავრცელდეს პირობითი უფლებათნარჩენობის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზეც.

ჩანასახს აქვს პირობითი უფლებათნარჩენობა. პირობითობა მის დაბადებასთან არის დაკავშირებული. დაბადებით პირი მოიპოვებს იმ უფლებებსა თუ მოთხოვნებს, რომლებიც მას ჩანასახად ყოფნის პერიოდში პირობითად წარმოეშვა. ანალოგიურად, დასაშვები უნდა იყოს, პირს დაბადებამდე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოეშვას.

დასკვნა

ანის აქვს ბენოს მიმართ ზიანის ანაზღაურების (მკურნალობის ხარჯების გადახდის) მოთხოვნა, სსკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე.

4. იურიდიული პირი, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე

ანის რამდენიმე საინტერესო ბიზნესპროექტის იდეა აქვს, თუმცა მათი განხორციელება საკუთარი სახელით არ უნდა. მას, განსაკუთრებით, პროექტებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების გამო, საკუთარი ქონების რისკის ქვეშ დაყენების პერსპექტივა არ მოსწონს. შესაბამისად, ის არეგისტრირებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) “სტაბილურ პარტნიორს” და მისი სახელით დებს ბენოსთან რამდენიმე მომგებიან ხელშეკრულებას.

ბენოს აინტერესებს, თუ ვის მიმართ წარმოეშვა მას მოთხოვნები?

არსი

სამართლებრივი ურთიერთობის შედეგების ადრესატი შეიძლება იყოს უშუალოდ იურიდიული პირი.

წესი

ვინაიდან „პირი“ არა სამართლებრივ-ეთიკური, არამედ სამართლებრივ-ტექნიკური ცნებაა, სამართლებრივად აღიარებულია იურიდიული პირის შესაძლებლობაც, განდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შედეგების ადრესატი. ამდენად, იურიდიული პირი შეიძლება უშუალოდ აღიჭურვოს ცალკეული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი უფლებებით და/ან იტვირთოს შესაბამისი მოვალეობები(17).

კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, “მათი შინაარსის გათვალისწინებით”, ვრცელდება იურიდიულ პირებზეც. ანალოგიურად, სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებშიც ყველა ის უფლება, რომელიც თვისებრივად არ უკავშირდება ადამიანს, შესაძლებელია ჰქონდეს იურიდიულ პირსაც.

სსკ-ის 24-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, “იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია, სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ.”

სსკ-ის მე-8 მუხლის I ნაწილის მე-2 წინადადებით, კანონმდებელი აკონკრეტებს, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებისმიერ იურიდიულ პირში იგულისხმება “როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის” იურიდიული პირები.

ბენოს შესაძლებელია წარმოშობა მოთხოვნები იურიდიული პირის – შპს “სტაბილური პარტნიორის” მიმართ.

წინაპირობაა ის, რომ ანის შესაბამისი იურიდიული პირის შესაქმნელად სავალდებულო მოქმედება – იურიდიული პირის რეგისტრაცია – უნდა განხორციელდებინა და სამართლებრივ ურთიერთობაში ამ იურიდიული პირის სახელით, როგორც მის წარმომადგენელს, ემოქმედა.

კაზუსის გარემოებიდან დასტურდება როგორც იურიდიული პირის რეგისტრაციის, ისე ანის მიერ იურიდიული პირის სახელით მოქმედების ფაქტი (“ის არეგისტრირებს შპს “სტაბილური პარტნიორს” და მისი სახელით დებს ბენოსთან რამდენიმე მომგებიან ხელშეკრულებას”).

შესაბამისად, ანიმ ხელშეკრულებები დადო არა საკუთარი სახელით, არამედ როგორც შპს “სტაბილური პარტნიორის” წარმომადგენელმა.

დასკვნა

ბენოს მოთხოვნები უშუალოდ იურიდიული პირის – შპს “სტაბილური პარტნიორის” მიმართ წარმოეშვა.

5. იურიდიული პირის მისი დამფუძნებლისგან გამიჯვნა

ანი შპს “დილა მშვიდობისას” რეგისტრაციისათვის ემზადება, თუმცა რეგისტრაციამდე ის შპს-ის სახელით ბენოსგან ოფისს ქირაობს.

ვის მიმართ აქვს ბენოს ოფისის ქირის გადახდის მოთხოვნა?

არსი

იურიდიული პირი შესაძლებელია ჩაითვალოს რეგისტრაციამდე მისი სახელით განხორციელებული ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ.

წესი

სსკ-ის 24-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, “იურიდიული პირი... თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს...”

იურიდიული პირის რეგისტრაციამდე მისი სახელით განხორციელებული სამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილობა და ამ ურთიერთობის მონაწილედ “ჯერ არარსებული” იურიდიული პირის განხილვა დასაშვებად უნდა ჩაითვალოს. ესეც ერთგვარ პირობითი უფლებაუნარიანობის მინიჭებად უნდა განიხილებოდეს – სამართლებრივად მისაღებია, თუ ეს მისთვის (იურიდიული პირისთვის) სარგებლის მომტანია. ამასთან, “სარგებლიანობა” ფართოდ უნდა განიმარტოს როგორც იურიდიული პირის ინტერესებში მოქმედება, რაც იურიდიული პირის შემდგომი თანხმობის სულო მცირე სავარაუდოობას განაპირობებს.

სსკ-ის 26-ე მუხლის I ნაწილით წესრიგდება იურიდიული პირის “იურიდიული მისამართის” – “ადგილსამყოფელის” საკითხი (“ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი.”)

იურიდიული მისამართი იურიდიული პირის აუცილებელი ატრიბუტია, ის არა მხოლოდ მისი იდენტიფიცირებისათვის, არამედ ცალკეული

სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ მოქმედი სამართლის ნორმებისა თუ მათგან გამომდინარე შედეგებისათვის არის არსებითი (მაგალითად, ცალკეული ვალდებულების შესრულების ადგილისა თუ ხელშეკრულების პირობების განმარტების, ასევე სამოქალაქო საპროცესო და საერთაშორისო კერძო სამართლებრივი თვალსაზრისით).

ანალიზი

ბენოს იურიდიული პირის - შპს “დილა მშვიდობისას” მიმართ შესაძლებელია წარმოშობოდა ოფისის ქირის გადახდის მოთხოვნა, სსკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

წინაპირობაა ბენოსა და შპს “დილა მშვიდობისას” შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულება.

ამ შემთხვევაში პრობლემური შეიძლება იყოს ის, რომ ანის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტში იურიდიული პირი ჯერ არ იყო რეგისტრირებული, ანუ არ არსებობდა. შესაბამისად, შესაძლებელია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები უშუალოდ ანის, და არა შპს “დილა მშვიდობისას”, წარმოშობოდა.

თუმცა რეგისტრაციამდე მისი სახელით განხორციელებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ იურიდიული პირი შეიძლება მაინც ჩაითვალოს. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია პირობითი უფლებაუნარიანობის ანალოგიაზე საუბარი.

ამის წინაპირობაა ანის მოქმედების “სარგებლიანობა” იურიდიული პირისათვის. იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს ადგილსამყოფელი, ანუ იურიდიული მისამართი. ეს მისი არსებობის ერთ-ერთი წინაპირობაა და რეგისტრაციისას მისათითებელი გარემოება. შესაბამისად, ანის რომ არ დაედო ქირავნობის ხელშეკრულება, იურიდიული პირი ადგილსამყოფელის გარეშე დარჩებოდა. ამდენად, ანის მოქმედება შპს “დილა მშვიდობისას” ინტერესებში მოქმედებად უნდა ჩაითვალოს.

ანი იურიდიული პირის რეგისტრაციამდე და, სავარაუდოდ, რეგისტრაციის შემდეგაც შპს “დილა მშვიდობისას” სახელით მოქმედებს, ანუ ამ იურიდიული პირის წარმომადგენელია სამართლებრივ ურთიერთობებში. ცხადია, ის რეგისტრაციამდეც და რეგისტრაციის შემდეგაც უკვე სამართლებრივად გამყარებული საფუძვლით, როგორც იურიდიული პირის სახელით მოქმედი პირი, მის მიერ დადებული ხელშეკრულების პირობების იურიდიულ პირზე გავრცელებას დაეთანხმებოდა.

ამასთან, საქმის გარემოებებიდან არ არსებობს ანის კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი, რაც ბენოსთან დადებული ხელშეკრულების რაიმე დაუშვებელ პირობაზე შეიძლება მიუთითებდეს (მაგალითად, შეუსაბამოდ მაღალი ქირის ოდენობა).

ამდენად, ასეთი ხელშეკრულების დადება იურიდიული პირის – შპს “დილა მშვიდობისას” ინტერესებში მოქმედებად უნდა განიხილებოდეს.

დასკვნა

ბენოს შპს “დილა მშვიდობისას” მიმართ აქვს ოფისის ქირის გადახდის მოთხოვნა, სსკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

6. სახელმწიფოს მონაწილეობა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში

ანიმ გადაწყვიტა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სავარძლების ტენდერში მიიღოს მონაწილეობა და თავისი ხელით დამზადებული ძველებური სავარძლები გაყიდოს. სამინისტროს სატენდერო კომისია ანის შეთავაზებული პროდუქციის აღწერილობითა და ფასით კმაყოფილია და მას ტენდერში გამარჯვებულად აცხადებს. ანისთან დადებულ ხელშეკრულებას მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე აწერს ხელს. ვის მიმართ აქვს ანის სავარძლების საფასურის გადახდის მოთხოვნა?

არსი

კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო თავისი წარმომადგენლისა თუ ორგანოს მეშვეობით შესაძლებელია მონაწილეობდეს როგორც კერძო სამართლის ნებისმიერი სხვა სუბიექტი.

წესი

სსკ-ის მე-8 მუხლის II ნაწილის თანახმად, “სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან”, როგორც წესი, წესრიგდება სამოქალაქო კანონმდებლობით. გამოწაკლისია “სახელმწიფოებრივი” (იგივე “საზოგადოებრივი”) ინტერესებიდან გამომდინარე ცალკეული მოქმედებები.

სსკ-ის 24-ე მუხლის III და IV ნაწილებით გათვალისწინებულია კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის ფორმის ერთგვარი გათანაბრება “კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან”. ამასთან, სსკ-ის 24-ე მუხლის IV ნაწილის მე-2 წინადადებით ზუსტდება, რომ “უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები... ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები.”(18)

12. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 96 და შემდგომში.

13. იხ. ასევე სსკ-ის 1307-ე მუხლი.

14. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 104 და შემდგომში.

15. შეად. გერმანულ სამართალში: Amtliche Sammlung der Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen, 58, 48.

16. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 107, შემდგომი მითითებებით.

17. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 160 და შემდგომში.

18. იხ. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების გამიჯვასთან დაკავშირებით კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 170 და შემდგომში.

ანალიზი

ანის სახელმწიფოს მიმართ შეიძლება წარმოშობოდა სავარძლების ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის II ნაწილიდან გამომდინარე.

წინაპირობაა ანისა და სახელმწიფოს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა.

ამ კაზუსის მიხედვით, ტენდერს აცხადებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ანის გამარჯვებულად - სამინისტროს სატენდერო კომისია, ხოლო ხელშეკრულებას ხელს მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე აწერს. შესაბამისად, დასადგენია, თუ რამდენად შეიძლება ხელშეკრულების მხარედ სახელმწიფოს მიჩნევა. სახელმწიფო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს იმავე უფლებებითა და მოვალეობებით, რომლებიც აქვს ნებისმიერ სხვა პირს (სსკ-ის მე-8 მუხლის II ნაწილი).

ამასთან, სხვა იურიდიული პირების მსგავსად, მისი სახელით მოქმედებენ სახელმწიფო ორგანოები (სსკ-ის 24-ე მუხლის IV ნაწილის მე-2 წინადადება). სამინისტრო, ცალკეული თანამდებობის პირი თუ კომისია არ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი (ამ სტატუსის მინიჭება კანონით განისაზღვრება) და მოქმედებს სახელმწიფოს სახელით.

შესაბამისად, ანისთან დადებული ხელშეკრულების მხარე არის სახელმწიფო, რომელსაც ანისთან ურთიერთობებში წარმოადგენს ერთ-ერთი სახელმწიფო ორგანო.

დასკვნა

ანის სახელმწიფოს მიმართ აქვს სავარძლების ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის II ნაწილიდან გამომდინარე.

V. ქმედუნარიანობა

7. შეზღუდული ქმედუნარიანობა

ანი გადაწყვეტს, 16 წლის იუბილესთან დაკავშირებით თავს საჩუქარი გაუკეთოს და ახალი თაობის მობილური ტელეფონი შეიძინოს. ბენოს მაღაზიაში უპრეცედენტო ფასდაკლებაა და ანი აირჩევს ტელეფონს, რომელიც 70%-იანი ფასდაკლებით იყიდება. ანის არჩევანს მისი 20 წლის ძმაც იწონებს, თუმცა მისი აზრი ანის ნაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნია,

რადგან იგი, ფსიქიკური პრობლემების მკურნალობის ხანგრძლივი მონაკვეთების გამო, ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს მნიშვნელოვნად ჩამორჩა და მას, ანის ინფორმაციით, სასამართლოს გადაწყვეტილებით მეურვეც კი დაენიშნა. ძმის ჩარევამ, თავად შეეძინა ანისთვის მობილური ტელეფონი და საფასური დაზღვევის ბარათით გადაეხადა, ანიზე და ბენოზე ვერ მოახდინა სასურველი გავლენა. ანის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ბენომ ხელშეკრულების დადების წინაპირობად მის მშობლებთან გასაუბრება დაასახელა და მხოლოდ მათგან თანხმობის მიღების შემდეგ დადო ანისთან ხელშეკრულება. მოიპოვა ანიმ რაიმე მოთხოვნა?

არსი

გარემოებების შეცნობისა და შეფასების უნარის განვითარების დონის ასაკსა და ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირება შესაძლებელია, გარიგების ნამდვილობისათვის განაპირობებდეს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის აუცილებლობას.

წესი

გარემოებების შეცნობისა და შეფასების უნარის განვითარების დონეს უკავშირდება ადამიანის ქცევის სამართლებრივი შედეგების აღიარება. ამ თვალსაზრისით, ქმედუნარიანობა იმიჯდება შეზღუდული ქმედუნარიანობისგან(19).

სსკ-ის მე-12 მუხლის I ნაწილით ქმედუნარიანობა განიმარტება როგორც ფიზიკური პირის უნარი, “თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები...”. იგი წარმოიშობა “სრულწლოვანების მიღწევისთანავე”.

სსკ-ის მე-12 მუხლის II ნაწილით ზუსტდება, რომ “სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.”

სსკ-ის მე-14 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, “არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა”, ხოლო იმავე მუხლის II ნაწილით არასრულწლოვანთან თანაბრდება ასევე ის სრულწლოვანი, რომელიც ქმედუნარიანობაში სასამართლოს გადაწყვეტილებით იზღუდება და უწესდება მზრუნველობა.

სსკ-ის მე-15 მუხლით დადგენილია, რომ “შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა”. იმავე მუხლით ამ წესიდან გამონაკლისად სახელდება შემთხვევა, “როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს”.

ანალიზი

ანის ბენოს მაღაზიის მიმართ შესაძლებელია მოეპოვებინა მობილური ტელეფონისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე.

წინაპირობაა ანისა და ბენოს მაღაზიას შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების დადება.

უშუალოდ ხელშეკრულების დადების ფაქტი, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს. თუმცა გასაანალიზებელია, ხომ არ შეეძლო ანის არასრულწლოვანებას, ანუ შეზღუდულ ქმედუნარიანობას, გავლენა მოეხდინა ხელშეკრულების ნამდვილობაზე.

ანი 16 წლისაა. სსკ-ის მე-14 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, იგი შეზღუდულქმედუნარიანია. მას შეუძლია, დადოს გარიგებები, ანუ თავად გახდეს ხელშეკრულების მხარე, თუმცა, სსკ-ის მე-15 მუხლის გათვალისწინებით, მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

ანის ძმის “მოწონება”, ისევე როგორც უშუალოდ მის მიერ გარიგების დადების მცდელობა, არსებითად არაფერს ცვლის. ის არ არის ანის კანონიერი წარმომადგენელი და მისი მოქმედება ანის ნების გამოვლენის მოწონებად ვერ განიხილება. ამასთან, სრულწლოვანების მიუხედავად, ის მეურვეობას ექვემდებარება. შესაბამისად, სავარაუდოდ, არც არის უფლებამოსილი, დამოუკიდებლად დადოს მსგავსი ტიპის გარიგება.

თუმცა საქმის გარემოებებიდან ცალსახაა, რომ ანიმ ხელშეკრულება მშობლების თანხმობით დადო (“ბენომ... მხოლოდ მათგან თანხმობის მიღების შემდეგ დადო ანისთან ხელშეკრულება.”)

ეს კი, სსკ-ის მე-15 მუხლის თანახმად, მისი ნების გამოვლენისა და, შესაბამისად, ბენოს მაღაზიასთან დადებული ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობაა.

ანიმ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით დადო ბენოს მაღაზიასთან ხელშეკრულება და გახდა ხელშეკრულების მხარე.

დასკვნა

ანის აქვს ბენოს მაღაზიის მიმართ მობილური ტელეფონისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე.

8. სრული ემანსიპაცია

16 წლის ანი რამდენიმე წელია ოცნებობს ძვირადღირებული ვიოლინოს შეძენაზე. ვიოლინოს შესახებ ინფორმაცია ანტიკვარული საქონლით მოვაჭრე ბენოს თავის ვებგვერდზე აქვს განთავსებული და ამ უნიკალური ექსპონატის ღირსებების ჭეშმარიტ დამფასებელს მოთმინებით ელოდება. ანის სიყვარული ვიოლინოს მიმართ იმდენად დიდია, რომ უკვე გულწრფელ შემფოთებას იწვევს როგორც მის მშობლებში, რომლებიც ვიოლინოს შეძენაზე მას თანხმობას არ აძლევენ, ისე მის შეყვარებულ გიოში, რომელიც ვიოლინოს ნამდვილ ღირსებებს ვერ ხედავს, თუმცა თავს მაინც ხშირად იჭერს ეჭვიანობის განცდებში. სწორედ ამ უკანასკნელის გამბედავ გადაწყვეტილებას, დაეთანხმებინა ანი ქორწინებაზე, მოჰყვა ანისა და ბენოს ოცნების ასრულება – მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. ანი უსაზღვროდ ბედნიერია, მიუხედავად იმისა, რომ მას ვიოლინოს საფასურის გადასახდელოად

გრძელვადიანი საბანკო სესხის აღება სჭირდება. ანის მშობლები ამ გარიგების დადების კვლავ წინააღმდეგნი არიან. გიო ფიქრს მისცემია, მისთვის აუხსნელია, ანის უსაზღვრო ბედნიერების წყარო ის თავად არის, თუ ისევ ვიოლინოზე უნდა იეჭვიანოს. აქვს ანის ბენოს მიმართ რაიმე მოთხოვნა?

არსი

16 წლის ასაკს მიღწეული, დაქორწინებული არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება შესაძლებელია ნამდვილი იყოს, კანონიერი წარმომადგენლის წინააღმდეგობის მიუხედავად.

წესი

სსკ-ის მე-12 მუხლის III ნაწილის თანახმად, “ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე.”

შესაბამისად, ქორწინებით ხორციელდება 16 წლის ასაკს მიღწეული პირის სრული ემანსიპაცია, ანუ არასრულწლოვანის უფლებრივი სტატუსის გათანაბრებაა ქმედუნარიან პირთან.

სსკ-ის 1108-ე მუხლის I ნაწილით საქორწინო ასაკად ასევე 18 წელია დადგენილი, თუმცა იმავე მუხლის II ნაწილით შესაძლებელია დაქორწინდეს 16 წლის პირიც, “მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით.”

სსკ-ის 1108-ე მუხლის III ნაწილის შესაბამისად, “თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში პატივსადები მიზეზის არსებობისას დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ.”

კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ან სასამართლო “ნებართვა” ქორწინებაზე, ამავდროულად, არის თანხმობა, მიენიჭოს არასრულწლოვანს შეუზღუდავ ქმედუნარიანობასთან გათანაბრებული სტატუსი(20).

ანალიზი

ანის შესაძლებელია ჰქონდეს ბენოს მიმართ ვიოლინოსა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე.

ინაპირობაა ანისა და ბენოს შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების დადება.

ამ საქმის გარემოებებით უტყუარად დასტურდება მათ შორის ხელშეკრულების დადების ფაქტი, თუმცა გასაანალიზებელია, თუ რამდენად შეუძლოა ანის შესაბამისი გარიგების დადება მშობლების თანხმობის გარეშე.

შესაძლებელია, ანის აღარ დასჭირვებოდა მათი თანხმობა, თუ მოხდებოდა მისი სრული ემანსიპაცია. სსკ-ის მე-12 მუხლის III ნაწილის თანახმად, სრული ემანსიპაციის, ანუ ქმედუნარიან პირთან უფლებრივი სტატუსით გათანაბრების წინაპირობაა “ქორწინება”. თავის მხრივ, ქორწინების წინაპირობაა სსკ-ის 1108-ე მუხლის II ნაწილით 16 წლის ასაკს

მიღწევა და კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ალტერნატივის სახით, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, სსკ-ის 1108-ე მუხლის III ნაწილის შესაბამისად, შესაძლებელია ჩაანაცვლოს სასამართლოს “ნებართვამ”.

საქმის გარემოებებიდან არ ჩანს, ქორწინებაზე თანხმობა მშობლებმა, ანუ კანონიერმა წარმომადგენლებმა, განაცხადეს, თუ ანის ქორწინების “ნებართვის” მოპოვება სასამართლოს მეშვეობით დასჭირდა. თუმცა ეს არ არის არსებითი. საქმის გარემოებებიდან უტყუარად დგინდება, რომ ანიმ იქორწინა.

შესაბამისად, მოხდა ანის სრული ემანსიპაცია, სსკ-ის მე-12 მუხლის III ნაწილის თანახმად, და ამ მომენტიდან ანის შეუძლია, დამოუკიდებლად შეიძინოს უფლებები და იტვირთოს მოვალეობები.

ამდენად, ანის მიერ ბენოსთან ხელშეკრულების გაფორმება არ საჭიროებს მშობლების თანხმობას. იგი ნამდვილია.

დასკვნა

ანის ბენოს მიმართ აქვს ვიოლინოსა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად.

9. დელიქტუარიალობა

10 წლის ანი, მისი 30 წლის ფსიქიკურად დაავადებული და სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული მეზობლის რჩევით, ეზოში გაჩერებულ ბენოს 25 წლის ავტომანქანის ბორბლებს მძიმე ქვებისგან - ათავისუფლებს-. ავტომანქანა, რომელის მუხრუჭიც ტექნიკურად გაუმართავია, გორდება და ბენოს ღობეს ეჯახება. ავტომანქანის მესაკუთრის განრისხებულ შეძახილებს ანი ჩუმი ზღოუქუნით პასუხობს, რომ მას მხოლოდ დახმარება სურდა. ის ფიქრობდა, რომ ქვები მანქანის ბორბლებს აბეზარმა მეზობელმა ბიჭებმა შეუღლაგეს, ბენოს გასაწვალებლად.

აქვს ბენოს ანის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა?

არსი

ზიანის გამომწვევი ქმედების ჩადენის გამო პასუხისმგებლობის ქონის უნარი შეიძლება არ იყოს მხოლოდ პირის ასაკსა თუ ფსიქიკურ მდგომარეობაზე დამოკიდებული და ამ პირის ცალკეული ვითარების “შეფასებაუნარიანობას” დაუკავშირდეს.

წესი

სსკ-ის 994-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი დელიქტუუნაროა და მისი მოქმედებიდან გამომდინარე ზიანისათვის არ აგებს პასუხს. სსკ-ის 994-ე მუხლის II ნაწილის პირველი წინადადებით ზუსტდება, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებათ ამ პირის მშობლებს ან “მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს”.(21)

გარდა ამისა, სსკ-ის 994-ე მუხლის III ნაწილით სამართლებრივად არსებით გარემოებად მიიჩნევა არასრულწლოვანის “შეფასებაუნარიანობა” (“არ შეუძლო თავისი მოქმედების

მნიშვნელობა გაეგო”). შესაბამისად, კანონმდებლის ნება არის 10-დან 18 წლამდე ასაკის პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, თუ ის განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომლის შედეგებზეც მას ნათელი წარმოდგენა არ აქვს.(22)
“დელოქტუენარო” პირად, სსკ-ის 995-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ითვლება ასევე “ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი პირი”.

19. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 115 და შემდგომში, ასევე 126 და შემდგომში.

20. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 118 და შემდგომში.

21. სსკ-ის 994-ე მუხლის II ნაწილის მეორე წინადადებით გათვალისწინებულია “მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების” პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, როცა მათ “არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება”.

22. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 129 და შემდგომში.

ანალიზი

ბენოს შესაძლებელია ჰქონდეს ანის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად.

ამ მოთხოვნის წინაპირობებია: ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

ამ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, დეტალურად განსახილველია მხოლოდ ანის დელიქტუენარიანობის საკითხი, რასაც შეიძლება ანის ბრალი გამოერიცხა. სხვა წინაპირობის არსებობა არ არის სადავო და არ საჭიროებს დამატებით განხილვას.

ანი 10 წლისაა. სსკ-ის 994-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ის, მისი ასაკიდან გამომდინარე, დელიქტუენაროდ ვეღარ ჩაითვლება. თუმცა, შესაძლებელია, ანის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 994-ე მუხლის III ნაწილით. ანი არასრულწლოვანია და გადამწყვეტია მისი “შეფასებაუნარიანობა”, ანუ ის, თუ რამდენად შეეძლო მას, “თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო”.

შემთხვევის გარემოებებიდან იკვეთება, რომ ანის “მხოლოდ დახმარება სურდა”. ის არ აპირებდა ბენოსთვის ზიანის მიყენებას. ეს მის განზრახვას ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს. რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, სწორედ ამ თვალსაზრისით არის გადამწყვეტი მისი შეფასებაუნარიანობა - შეეძლო 10 წლის ანის, გაეთვალისწინებინა, რომ ქვების მოშორება ავტომანქანის დაგორებასა და გამომდინარე ზიანს გამოიწვევდა? იმის დაშვება, რომ შესაძლებელია, ანის არ სცოდნოდა და ვერც გაეთვალისწინებინა ქვების მნიშვნელოვანი როლი ბენოს 25 წლის ავტომანქანის უმოძრაო მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, საკმარისი საფუძველია, სსკ-ის 994-ე მუხლის III ნაწილით, მისი პასუხისმგებლობის გამოსარიცხად.

ამ შემთხვევაში ასეთი დაშვება მისაღებია. ანის, მისი ასაკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ავტომანქანის მოძრაობისა თუ უმოძრაო მდგომარეობაში შენარჩუნების ტექნიკურ საშუალებებზე რეალურისაგან არსებითად განსხვავებული წარმოდგენაც კი ჰქონოდა. საქმის გარემოებებიდან არ იკვეთება, რომ მას რაიმე განსაკუთრებული შეხება ჰქონდა ავტომანქანებთან, რასაც შეეძლო საპირისპირო დაშვების ალბათობა განეპირობებინა.

ანის სასამართლოს მიერ ქმედუენაროდ აღიარებული მეზობლის რჩევა ამ შემთხვევის შეფასებაზე არ ახდენს გადამწყვეტ გავლენას. მისი რჩევა არარსებითია, თუნდაც იმიტომ, რომ ის თავად არის ქმედუენარო თუ “დელოქტუენარო”, სსკ-ის 995-ე მუხლის I ნაწილის თანახმად. თუმცა დამატებით არგუმენტად დასაშვებია იმის გამოყენება, რომ სრულწლოვანი პირის რჩევა ანისათვის მისი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნების წყარო ყოფილიყო. ამასთან, ანის შეიძლება არც სცოდნოდა ან ვერც შეეცნო ამ პირის ფსიქიკური მდგომარეობა.

შესაბამისად, ანის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, სსკ-ის 994-ე მუხლის III ნაწილიდან გამომდინარე.

დასკვნა

ბენოს არ აქვს ანის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სსკ-ის 992-ე მუხლის თანხმად(23).

23. მიღებული შედეგი არ გამორიცხავს, სსკ-ის 994-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, ბენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ანის მშობლების ან “მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების” მიმართ, თუ არ დადგინდება, რომ მათ “არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება”. თუმცა ეს სცდება ამ შემთხვევის შეკითხვით შემოსაზღვრულ ანალიზის ფარგლებს.

VI. პიროვნული უფლებები

10. სახელი

ანი აღშფოთებას ვერ მალავს - მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის – შპს “დილა მშვიდობისას” იდენტური სახელწოდებით ბენო საკუთარ აბაზანაში ჩამოსხმულ ლიმონათს ყიდის. ლიმონათის ეტიკეტზე კარგად იკითხება წარწერა - შპს “დილა მშვიდობისა”. იურიდიულ პირთა რეესტრში გადამოწმებით ანი ადგენს, რომ ამ სახელწოდების სხვა იურიდიული პირი რეგისტრირებული არ არის. ანის პრეტენზიების მშვიდად მოსმენის შემდეგ ბენო აცხადებს, რომ მას ვერც კი წარმოუდგენია, ანის სახელწოდება “დილა მშვიდობისას” გამოყენების ექსკლუზიურობაზე რაიმე უფლება თუ შეიძლება ჰქონდეს.

აქვს შპს “დილა მშვიდობისას” რაიმე მოთხოვნა?

არსი

ადამიანის სახელის დაცვის ანალოგიურად შესაძლებელია განხორციელდეს იურიდიული პირის სახელწოდების სამართლებრივი დაცვაც, ვინაიდან პიროვნული უფლება, რომელიც თვისებრივად არ უკავშირდება მხოლოდ ადამიანს, შესაძლებელია ჰქონდეს იურიდიულ პირსაც.

წესი

“პიროვნული უფლებები” აბსოლუტური უფლებებია, რომლებიც ადამიანის პიროვნების თავისუფალ განვითარებას უზრუნველყოფენ და პიროვნულ სფეროში არაკანონიერი ჩარევის აღკვეთას ისახავენ მიზნად(24). პიროვნების ინდივიდუალურობის დაცვის გამოვლინებაა, მაგალითად, ადამიანის სახელის უფლების ხელყოფის წინააღმდეგ მიმართული უფლებები.

კერძოდ, სსკ-ის მე-18 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულია მოთხოვნა, “სახელის ტარების უფლების შეცდომებისა” და “სახელით

უნებართვო სარგებლობის” შემთხვევებში, ხელმოწერის მიმართ ამ მოქმედების შეწყვეტასა და შემდგომში ასეთ ქმედებაზე უარის თქმაზე.

შესაბამისად, ამ ნორმის მოქმედება ვრცელდება ორი სახის ხელყოფაზე: როდესაც პირის მიერ თავისი სახელის გამოყენების უფლება სადავო ხდება სხვა პირის მიერ და როდესაც სხვა პირი “უნებართვოდ” იყენებს იმავე სახელს სამართლებრივ ურთიერთობებში. ამასთან, პიროვნული უფლებების დაცვის არსიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი, სარგებლობა მოგების ან რაიმე სხვა სარგებლის მიღების მიზნით ხორციელდებოდეს(25).

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, “მათი შინაარსის გათვალისწინებით” ვრცელდება იურიდიულ პირებზეც. ანალოგიური მიდგომა მოქმედებს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებშიც. ყველა ის უფლება, რომელნიც თვისებრივად არ უკავშირდება მხოლოდ ადამიანს, შესაძლებელია ჰქონდეს იურიდიულ პირსაც. ამდენად, პიროვნული უფლებებიც, “მათი შინაარსის გათვალისწინებით”, ვრცელდება იურიდიულ პირებზე.

შესაბამისად, გადამწყვეტია ის, რომ ასეთი გავრცელება კონკრეტული უფლების არსს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. ეს კი დასაშვებია, თუ კონკრეტული უფლების არსებობის წინაპირობა არ არის უშუალოდ ადამიანის ისეთი თვისებები, რომელნიც ვერ ექნება იურიდიულ პირს.

სახელი ადამიანის ინდივიდუალურობის გამომხატველია. იგი მის პერსონიფიცირებასა თუ იდენტიფიცირებას ემსახურება. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა იყოს დაცული იურიდიული პირის საკუთარ სახელწოდებასთან იდენტიფიცირების ინტერესი.

სსკ-ის მე-18 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული სახელის უფლების დაცვა ვრცელდება ნებისმიერი სახის იურიდიულ პირსა და არარეგისტრირებულ პირთა გაერთიანებებზეც, რომლებიც კონკრეტული სახელწოდებით იდენტიფიცირდებიან.

ამასთან, სსკ-ის 27-ე მუხლის IV ნაწილით უშუალოდ არის გათვალისწინებული, რომ “პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი.”

ანალიზი

შპს “დილა მშვიდობისას” შესაძლებელია ჰქონდეს ბენოს მიმართ მისი “სახელით უნებართვო სარგებლობის” შეწყვეტისა და შემდგომში ასეთ ქმედებაზე უარის თქმის მოთხოვნა, სსკ-ის მე-18 მუხლის I ნაწილიდან და 27-ე მუხლის IV ნაწილიდან გამომდინარე.

წინაპირობაა ის, რომ შპს “დილა მშვიდობისას” სახელწოდებას ბენო უნებართვოდ უნდა იყენებდეს და ამით შპს-ის “ინტერესებს ლახავდეს”.

ის, რომ ბენო უნებართვოდ იყენებს შპს-ის სახელწოდებას, წარმოდგენილი შემთხვევის გარემოებებით დადგენილია. არც ამ ქმედებით შპს-ის ინტერესების ხელყოფის დადასტურება ქმნის განსაკუთრებულ პრობლემას. ძნელი წარმოსადგენია არგუმენტი, რომელიც აბაზანაში ჩამოსხმული ლიმონათით ვაჭრობას შპს-ის ინტერესებში მოქმედებად წარმოაჩენდა.

ამ შემთხვევაში დამატებით უნდა გაანალიზდეს, თუ რამდენად შეიძლება უშუალოდ შპს “დილა მშვიდობისა” ჩაითვალოს მოთხოვნის მფლობელად. ხომ არ შეიძლება არსებობდეს არგუმენტი, რომელიც შპს-ის მისი სახელწოდებით უნებართვო სარგებლობის წინააღმდეგ მოთხოვნას იურიდიული პირის სტატუსთან შეუთავსებლად განიხილავდა. ასეთი პოზიცია შეიძლება გამყარებული ყოფილიყო, თუ სახელის უფლება ადამიანის ისეთ პიროვნულ უფლებად განიხილებოდა, რომლის იურიდიულ პირზე გავრცელებაც ამ უფლების არსს უგულებელყოფდა.

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების იურიდიულ პირზე გავრცელება ხორციელდება “მათი შინაარსის გათვალისწინებით”.

სახელის უფლება ადამიანის პერსონიფიცირებას ემსახურება. შესაბამისად, როგორც ადამიანს აქვს უფლება, იდენტიფიცირდებოდეს საკუთარი სახელით, ისე იურიდიულ პირსაც შესაძლებელია ჰქონდეს ანალოგიური ინტერესი ინდივიდუალური სახელწოდების ქონისა. სწორედ ასეთი სახელწოდებით მონაწილეობს იგი სამართლებრივ ურთიერთობებში. მის სახელწოდებასთან ასოცირდება შესაბამისი იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია.

შესაბამისად, შპს “დილა მშვიდობისას” სახელწოდება სსკ-ის მე-18 მუხლის I ნაწილით დაცულია ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პირის სახელი. ამასთან, სსკ-ის 27-ე მუხლის IV ნაწილით გათვალისწინებულია უშუალოდ იურიდიული პირის მოთხოვნაც მისი სახელწოდების “მართლსაწინააღმდეგო” სარგებლობის შეწყვეტაზე.

დასკვნა

შპს “დილა მშვიდობისას” ბენოს მიმართ აქვს მისი “სახელით უნებართვო სარგებლობის” შეწყვეტისა და შემდგომში ასეთ ქმედებაზე უარის თქმის მოთხოვნა, სსკ-ის მე-18 მუხლის I ნაწილიდან და 27-ე მუხლის IV ნაწილიდან გამომდინარე.

11. გამოსახულება

ანი სამოდელო კარიერას იწყებს. ცნობილი ფოტოგრაფი ბენო მას უნიკალურ წინადადებას სთავაზობს – ერთ-ერთი წამყვანი კოსმეტიკური კომპანიის სარეკლამო სახედ ქცევას. წარმატებული ფოტოსესიის შემდეგ ისინი ერთად არჩევენ ფოტოებს სარეკლამო მიზნით გამოსაყენებლად. ამასთან, ბენო ანის 1000 ლარს უხდის და ჰპირდება, საუკეთესო კოსმეტიკური ნაწარმის სარეკლამოდ მისი ფოტოების მთელი

საქართველოს მასშტაბით განთავსებას. რამდენიმე კვირაში ანის ფოტოები ათობით სარეკლამო სტენდზეა განთავსებული, თუმცა ანი გაოგნებულია - ის კოსმეტიკური ნაწარმის ნაცვლად, ბენოს მიერ დაარსებული კომპანიის სახელით ბავშვის საფენის რეკლამას აკეთებს. ბენო ანის მშვიდი სახით განუმარტავს, რომ ის უნდა ამაყოფილებს “პამპერსის” ქართული კონკურენტის გაძლიერებით. ამასთან, ის მას შეახსენებს, რომ პოზირებისთვის ანაზღაურება აიღო, რითაც წინასწარ გამოხატა თანხმობა ფოტოების სარეკლამო მიზნით გამოყენებაზე. აქვს ანის რაიმე მოთხოვნა?

არსი

პოზირებისთვის საზღაურის მიღება შესაძლებელია არ ნიშნავდეს ადამიანის გამოსახულების მისი თანხმობის გარეშე გამოყენებაზე თანხმობას.

წესი

გამოსახულების უფლება არის პიროვნული უფლება, რომელიც საკუთარი გამოსახულების საჯაროდ ჩვენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ავტონომიას გულისხმობს. გამოსახული პირი თავად წყვეტს, თუ რა სახით მოხდეს მისი გამოსახულების ჩვენება.

სსკ-ის მე-18 მუხლის V ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, პირს ენიჭება მისი გამოსახულების უნებართვოდ გამოყენების შეწყვეტისა და შემდგომში ასეთ ქმედებაზე უარის თქმის მოთხოვნა.

ამასთან, ადამიანის გამოსახულების დაცვა ვრცელდება ნებისმიერი სახის: სახვითი ხელოვნების მეშვეობით, ფოტოგრაფიის, ვიდეოგადაღებისა თუ სხვა საშუალებით მიღებულ გამოსახულებაზე.

სსკ-ის მე-18 მუხლის V ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულია გამოწვევები. მათ შორის მითითებულია, რომ “თანხმობა არ არის საჭირო, როცა... პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.” თუმცა საზღაურის მიღება არ ნიშნავს მისი გამოსახულების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე თანხმობას. პირის თანხმობა ვრცელდება გამოსახულების კონკრეტულ, ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული ან მისგან უშუალოდ გამომდინარე სახით გამოყენებაზე.

ანალიზი

ანის ბენოს მიმართ შესაძლებელია ჰქონდეს მისი გამოსახულების უნებართვოდ გამოყენების შეწყვეტისა და შემდგომში ასეთ ქმედებაზე უარის თქმის მოთხოვნა, სსკ-ის მე-18 მუხლის V ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად.

წინაპირობაა ის, რომ ანის გამოსახულების გამოყენება უნდა მომხდარიყო მისი თანხმობის გარეშე.

ეს საქმის გარემოებებით შესაძლებელია დადასტურებულად ჩაითვალოს. თუმცა განსახილველია, ხომ არ შეიძლება, ანის მიერ “პოზირებისთვის” საზღაურის მიღება ჩაითვალოს მისი გამოსახულების ნებისმიერი სახით, მათ შორის, ბავშვის საფენის სარეკლამოდ გამოყენებაზე თანხმობად. ამ შემთხვევაში ბენოს მოქმედება მოექცეოდა სსკ-ის მე-18 მუხლის V ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ გამოწვევის მომენტში.

ამ მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება ასევე არგუმენტი, რომ ანიმ თანხმობა განაცხადა მისი ფოტოების გამოყენების მიზანზეც – ყოფილიყო სარეკლამო სახე.

გასაანალიზებელია ის, რომ ანი მზად იყო, “ერთ-ერთი წამყვანი კოსმეტიკური კომპანიის” სარეკლამო სახე გამხდარიყო. თუმცა შესაძლებელია, იგი არ ყოფილიყო თანახმა, გამოეყენებინათ მისი გამოსახულება ბავშვის საფენის რეკლამაში.

სსკ-ის მე-18 მუხლის V ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისი – პოზირებისთვის საზღაურის მიღება, შესაძლებელია განიმარტოს როგორც თანხმობის გაცხადება გამოსახულების ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული ან მისგან უშუალოდ გამომდინარე სახით გამოყენებაზე.

ამდენად, გადამწყვეტია ის, თუ რამდენად არსებითად უნდა ჩაითვალოს განსხვავება ფოტოების გამოყენების შეთანხმებულ და რეალურად განხორციელებულ სახეში.

იმის მიუხედავად, რომ “ფოტოების მთელი საქართველოს მასშტაბით განთავსებას” ანის კარიერისთვის სასურველი ბიძგიც კი შეეძლო მიეცა, ბავშვის საფენის რეკლამისთვის მისი გამოსახულების გამოყენება უნებართვოდ განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს.

შესაბამისად, ბენომ ანის გამოსახულების უნებართვოდ ბავშვის საფენის რეკლამისთვის გამოყენებით ხელყო მისი გამოსახულების უფლება. ის, რომ ანიმ პოზირებისთვის საზღაური მიიღო, არ არის საკმარისი საფუძველი მისი გამოსახულების შეთანხმებულისგან განსხვავებული სახით გამოყენებაზე.

დასკვნა

ანის აქვს მისი გამოსახულების უნებართვოდ გამოყენების შეწყვეტისა და შემდგომში ასეთ ქმედებაზე უარის თქმის მოთხოვნა, სსკ-ის მე-18 მუხლის V ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად.

12. პატივი და საზოგადოებრივი სახე

ბენოს გენიალური აზრი მოსდის თავში - ის უცნობ მწერალ ანის “დათა თუთაშხიას” ავტორად საქვეყნოდ აცხადებს და წიგნის ახალი გამოცემის გარეკანს მისი სახელითა და ფოტოთი ამშვენებს. წიგნის ერთი ეგზემპლარი ანის ჩაუვარდა ხელში. “დათა თუთაშხია” მისი საყვარელი ნაწარმოებია. ის უბედნიერესი ადამიანი იქნებოდა, მხატვრული ღირებულებით მასთან რაიმე მიახლოებულიც კი რომ შეექმნა, მაგრამ მან ხომ ზუსტად იცის, რომ ავტორი არ არის. ანი ჭეშმარიტი ავტორის წინაშე ერთგვარ პასუხისმგებლობას გრძნობს და სამართლიანობის აღსადგენად ბრძოლას აპირებს. ანის ადვოკატი განუმარტავს, რომ პატივის ხელყოფის წინაპირობა “შეურაცხყოფილობაა”, ხოლო მისი აზრით, ანი ასეთი ნაწარმოების ავტორად მიჩნევით შეურაცხყოფილი ობიექტურად ვერ იქნება.

აქვს ანის რაიმე მოთხოვნა?

არსი

შესაძლებელია, ადამიანის საზოგადოებრივი სახე მოექცეს პატივის დაცვის ანალოგიურ რეჟიმში.

წესი

პატივის დაცვა გულისხმობს ადამიანის უფლებას, უსამართლოდ არ იქნეს წარმოდგენილი საზოგადოებაში უარყოფით ჭრილობაში.

პატივის პიროვნული უფლების დაცვას ორი მიმართულება აქვს. იგი ხორციელდება:

– არაკეთილგანწყობილი, დამამცირებელი გამონათქვამისას, რაც შეიძლება, ზოგადად, შეურაცხყოფად შეფასდეს. ასეთი გამონათქვამი “უსამართლოა” უკვე იმიტომ, რომ ის ადამიანის (შესაბამისად, იურიდიული პირის ან პირთა გაერთიანების) მიმართ გამოიყენება;

– დამამცირებელი ფაქტის გავრცელებისას, რომელიც ჭეშმარიტებას არ შეესაბამება, ან რომლის ჭეშმარიტების დამტკიცებაც შეუძლებელია.

პირს მასზე საჯაროდ არასწორი წარმოდგენის შექმნის აღკვეთის მოთხოვნა აქვს მაშინაც, თუ ეს მისთვის არ არის შეურაცხმყოფელი. მაგალითად, იმ შემთხვევებში, თუ მას არასწორად მიაწერენ თუნდაც ობიექტურად პოზიტიურ გამონათქვამებს, შეხედულებებსა თუ მოქმედებებს.

საზოგადოებრივი სახის დაცვის შემთხვევაში, პატივთან მიმართებით მოქმედი “უსამართლობის” (თუ “სამართლიანობის”) კრიტერიუმისაგან განსხვავებით, მოქმედებს “სისწორის” კრიტერიუმი. კერძოდ, საკმარისია ის, რომ ასეთი გამონათქვამი არასწორია და აღარ არის მხედველობაში მისაღები არც მათი სამართლიანობა და არც უარყოფითობა(26).

არსებითად საზოგადოებრივი სახის დაცვის სამართლებრივი საფუძველი არის სსკ-ის მე-18 მუხლით რეგულირებული ღირსების დაცვა, რაც ზოგადი პიროვნული უფლების აღიარებად უნდა ჩაითვალოს. ეს საზოგადოებრივი სახის დაცვაზე სსკ-ის მე-18 მუხლის II-IV ნაწილების გავრცელებას განაპირობებს, მათ შორის პირის მოთხოვნას, უარყოფილ იქნეს ინფორმაცია იმავე გზით, რა გზითაც მოხდა მისი გავრცელება.

ალტერნატივის სახით მოთხოვნა საზოგადოებრივი სახის ხელმოყოფი ფაქტებისა თუ მონაცემების უარყოფასა და შემდგომი გავრცელებისგან თავის შეკავებაზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სსკ-ის მე-18 მუხლის I ნაწილის ანალოგიით გამოყენებით.

ანალოზი

ანის შესაძლებელია ჰქონდეს ბენოს მიმართ მოთხოვნა მისი საზოგადოებრივი სახის ხელმოყოფი ინფორმაციის უარყოფასა და შემდგომი გავრცელებისგან თავის შეკავებაზე, სსკ-ის მე-18 მუხლის II-IV ნაწილების შესაბამისად (ალტერნატივა – სსკ-ის მე-18 მუხლის I ნაწილის ანალოგიით).

წინაპირობაა ანის საზოგადოებრივი სახის ხელყოფა. კერძოდ, ბენო უნდა ავრცელებდეს ანის შესახებ ისეთ ინფორმაციას, რომელიც ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. პატივის დაცვისაგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, რომ ეს ინფორმაცია უსამართლოდ შეურაცხმყოფელი იყოს.

ბენო ავრცელებს ანიზე მცდარ ინფორმაციას. ის მას სხვის მიერ დაწერილი ნაწარმოების ავტორობას მიაწერს (“ავტორად საქვეყნოდ აცხადებს და წიგნის ანალი გამოცემის გარეკანს მისი სახელითა და ფოტოთი ამშვენებს”).

საქმის გარემოებებიდან ცალსახაა, რომ ბენო ხელყოფს ანის საზოგადოებრივ სახეს.

გარდა ამისა, შესაძლებელია, ანის მისი ფოტოს უნებართვო გამოყენების გამო გამოსახულების ხელყოფიდან გამომდინარე მოთხოვნაც წარმოშობოდ. თუმცა ამ შემთხვევაში დაყენებული მოთხოვნა უფრო ფართოა. იგი თავის თავში მოიცავს ამ კონტექსტში ანის ფოტოს გამოყენებისგან თავის შეკავებასაც და შესაძლებელია, აღარ იდგეს მისი ცალკე მოთხოვნის სახით დაყენების აუცილებლობა.

დასკვნა

ანის აქვს ბენოს მიმართ მოთხოვნა მისი საზოგადოებრივი სახის ხელმოყოფი ინფორმაციის უარყოფასა და შემდგომი გავრცელებისგან თავის შეკავებაზე, სსკ-ის მე-18 მუხლის II-IV ნაწილების შესაბამისად (ალტერნატივა – სსკ-ის მე-18 მუხლის I ნაწილის ანალოგიით).

13. “სიკვდილის უფლება”, ანუ “უფლება სრულფასოვან სიცოცხლეზე”

ანი ქიმიური საშუალებებით მკურნალობასა და მძიმე გვერდითი ეფექტების მქონე მედიკამენტების მიღებაზე უარს ამბობს. მისი ექიმი დარწმუნებულია, რომ ამით ანი თავისი სიცოცხლის რამდენიმე თვით გახანგრძლივების ბოლო შანსს კარგავს. ის მას დაბეჯითებით მოუწოდებს, შეასრულოს სამედიცინო დაწესებულებასთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ხელშეკრულება ერთ-ერთ პუნქტად მართლაც ითვალისწინებს პაციენტის ვალდებულებას – განუხრელად შეასრულოს მკურნალი ექიმის მითითებები.

აქვს ანის “სიკვდილის უფლება”?

არსი

“სიკვდილის უფლება” უნდა განიმარტოს როგორც “უფლება სრულფასოვან სიცოცხლეზე”, რამაც უფლებამოსილ პირს შესაძლებელია, ცალკეული მოქმედებების შესრულებისგან თავის შეკავების უფლება მიანიჭოს.

წესი

“სიკვდილის უფლება” ნიშნავს “უფლებას სრულფასოვან სიცოცხლეზე”, სამედიცინო ჩარევაზე უარის თქმის უფლების გაგებით. უპირატესი ინტერესის დაცვის თვალსაზრისით, სიცოცხლის რაიმე სხვა ფასეულობასთან შედარება მიუღებელია. შესაძლებელია, სამართლებრივად აღიარებულ იქნეს მხოლოდ სრულფასოვანი სიცოცხლის უპირატესობა არასრულფასოვან სიცოცხლესთან შედარებით. ეს დასაშვებია, თუ ადამიანს სამედიცინო ჩარევის შემთხვევაში აღარ ექნება დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში “სიცოცხლით ტკბობის” შესაძლებლობა, ანუ მისი ხელოვნურად “გახანგრძლივებული სიცოცხლე” თავად ინდივიდისთვის (მაგალითად, მკურნალობის გვერდითი ეფექტების გამო) ნაკლებად ღირებულია, უფრო მოკლე, მაგრამ სრულფასოვან, სიცოცხლესთან მიმართებით(27).

“უფლება სრულფასოვან სიცოცხლეზე” საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით აღიარებული ადამიანის ღირსებისა და მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარეობს. კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვა გამოიხატება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებშიც.

24. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 131 და შემდგომში.
25. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 142.
26. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 146 და შემდგომში.
27. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 203 და შემდგომში.

ანალიზი

ანის შესაძლებელია ჰქონდეს ზოგადი პიროვნული უფლებიდან ნაწარმოები “უფლება სრულფასოვან სიცოცხლეზე”, რაც მას სამედიცინო დაწესებულების მიმართ სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებასა და თავისი ვალდებულების შესრულებისაგან თავის შეკავების უფლებას შეიძლება ანიჭებდეს.

წინაპირობაა ის, რომ ანის უნდა ჰქონდეს შესაბამისად მოქმედების დაცვის ღირსი ინტერესი, რაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უპირატეს ღირებულებებს.

ამ შემთხვევაში ასეთ უპირატეს ღირებულებად შესაძლებელია სიცოცხლის განანგრძლივების ინტერესის მიჩნევა. ანის არ აქვს უფლება, ავნოს საკუთარ თავს, ასევე არ შეიძლება ე.წ. სიკვდილის უფლების ლეგიტიმურ ინტერესად მიჩნევა.

მიუხედავად ამისა, “სიკვდილის უფლება” უნდა განიმარტოს როგორც “უფლება სრულფასოვან სიცოცხლეზე”, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-16-მე-17 მუხლებიდან გამომდინარე კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში მისი შინაარსი სრულფასოვანი სიცოცხლის უპირატესობით ვლინდება, თუნდაც უფრო ხანგრძლივ არასრულფასოვან სიცოცხლესთან შედარებით.

დამატებით არგუმენტად შესაძლებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით გარანტირებული “სიცოცხლის უფლების” “სიცოცხლით ტკბობის უფლებად” განმარტების გამოყენებაც. სიცოცხლის უფლების შინაარსი უპირველესად სხვა პირის მიერ სიცოცხლის ხელყოფის დაუშვებლობით ვლინდება. ამავე დროს, დასაშვებია მისი განმარტება ზოგადი პიროვნული უფლების თვალსაზრისით, როგორც სიცოცხლით ტკბობის თუ სრულფასოვანი სიცოცხლის უფლების აღიარება.

რამდენად შეიძლება, ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის ინტერესმა ცალკეული ხელშეკრულების დებულებების შესრულებაზე მოახდინოს გავლენა, კონკრეტული შემთხვევის გარემოებების მიხედვით უნდა გადაწყდეს. თუმცა სრულფასოვან სიცოცხლეზე უფლების სპეციფიკა ნებისმიერ სხვა შედარების ლეგიტიმურობას გამორიცხავს. პირის სიცოცხლე შეიძლება მხოლოდ სიცოცხლესთან შედარდეს.

ამ შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის შინაარსი ანის სასარგებლოდ მომსახურების გაწევას უნდა ითვალისწინებს. თუ ანი ამ მომსახურებას “თავის სასარგებლოდ” არ მიიჩნევს, ბუნებრივია, ამით ხელშეკრულების დადების მიზანი მიუღწეველი ხდება. შესაბამისად, გადაწყვეტია ის, თუ რამდენად შეიძლება, ანისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.

შესაბამისად, ანის სიცოცხლეზე ღირებული შეიძლება იყოს მხოლოდ ანისავე სრულფასოვანი სიცოცხლე.

დასკვნა

ანი უფლებამოსილია, სრულფასოვანი სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე, თავი შეიკავოს სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებისა და თავისი ვალდებულების შესრულებისაგან.

VII. ქონება

14. მოძრავი და უძრავი ნივთები

ანის სურს შეიძინოს ბენოს ფიცრული ქოჩი, რომელიც უნდა დაშალოს და ხის მასალა ხელახალი მშენებლობისათვის გამოიყენოს. მხარეები უპრობლემოდ თანხმდებიან, ანი საფასურს დაუყოვნებლივ იხდის და დემონტაჟის განსახორციელებლად მეორე დღისთვის ხელოსნებსაც იბარებს. სახლში მისულს, იურიდიული ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი ძმა ეუბნება, რომ მას ბენოს მიმართ მოთხოვნის მოსაპოვებლად ხელშეკრულება წერილობით უნდა დაედო. რა მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეს ანის ბენოს მიმართ?

არსი

ქონების თვისებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ამ ქონებაზე დადებულ გარიგებას ნამდვილობის სპეციალური მოთხოვნები წაეყენოს.

წესი

უძრავ ქონებაზე (ნივთზე) დადებული გარიგება ნამდვილობისათვის მოითხოვს წერილობითი ფორმით დადებას, სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად. ანალოგიური ვალდებულება გათვალისწინებულია სსკ-ის 183-ე მუხლის წინაპირობად, რომელიც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემას აწესრიგებს.

სსკ-ის 148-ე მუხლის შესაბამისად, “ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი.” ამასთან, სსკ-ის 149-ე მუხლით ზუსტდება, რომ “უძრავ ნივთებს მიეკუთვნება: მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე არსებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.”

შესაბამისად, უძრავი ნივთია “მიწის ნაკვეთი” – სივრცობრივად გამოყოფილი, საკადასტრო წესით აზომილი და საჯარო რეესტრში სპეციალური აღნიშვნით რეგისტრირებული მიწის ზედაპირი(28). ყველა სხვა ნივთი არის მოძრავი ან უძრავი ნივთის (არსებითი შემადგენელი) ნაწილი.

ბუნებრივია, სსკ-ის 149-ე მუხლის დებულების მიხედვით, მიწაზე არსებული მცენარეებისა და შენობა-ნაგებობების განხილვა შეიძლება არა

დამოუკიდებელი უძრავ ნივთებად, არამედ იმ მიწის ნაკვეთის (არსებით შემადგენელ) ნაწილებად(29), რომელთანაც არიან დაკავშირებულნი(30). იმ შემთხვევაში, თუ ნების გამოვლენის საგანი არის უძრავი ნივთის ნაწილი ამ უძრავი ნივთისაგან დამოუკიდებლად, შესაბამისი ურთიერთობა წარმოიშობა მასზე, როგორც (მომავალში) მოძრავ ნივთზე(31). წინააღმდეგ შემთხვევაში, ნების გამოვლენის საგანი იქნებოდა უშუალოდ უძრავი ნივთი.

ანალიზი

ანის ბენოს მიმართ შესაძლებელია ჰქონდეს ქონების (ფიცრული ქოჩისა თუ ჩის მასალის) და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის თანახმად.

წინაპირობაა ანისა და ბენოს შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში პრობლემური შეიძლება იყოს ქონების სახიდან გამომდინარე კანონით გათვალისწინებული ნამდვილობის წინაპირობა – ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება.

სსკ-ის 323-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულოა უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, რამდენად განეკუთვნება დემონსტრირებული ფიცრული ქოჩი უძრავ ქონებას.

დემონტაჟამდე იგი მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილია და არსებითად მის სამართლებრივ ბედს იზიარებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების უფლების გადაცემის საგანი უნდა ყოფილიყო მიწის ნაკვეთი. ეს კი საქმის გარემოებებიდან არ დასტურდება.

უფრო მეტიც, დადგენილია, რომ ანიმ ფიცრული ქოჩი “უნდა დაშალოს და ჩის მასალა ხელახალი მშენებლობისათვის გამოიყენოს”. ეს კი საპირისპირო დასკვნას განაპირობებს. ხელშეკრულების საგანი არის უძრავი ნივთის ნაწილი ამ უძრავი ნივთისაგან (მიწის ნაკვეთისგან) დამოუკიდებლად, როგორც მომავალში მოძრავი ნივთი. არსებითად, ეს ხელშეკრულება არაფრით არ განსხვავდება (მეორადი) სამშენებლო მასალის ნასყიდობისგან.

შესაბამისად, ხელშეკრულება არ დადებულია უძრავ ნივთზე და არ არსებობს უძრავი ნივთის ნასყიდობის მიმართ წაყენებული სავალდებულო ფორმის დაცვის აუცილებლობა. ანისა და ბენოს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია.

დასკვნა

ანის აქვს ბენოს მიმართ ქონების (ფიცრული ქოჩის/ჩის მასალის) და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად.

15. ჩანაცვლებადი და მოხმარებადი ნივთები

ანი თავის მეზობელ ბენოს ორი კვერცხის თხოვებას მოკრძალებულად სთხოვს. ბენო ღიმილით უწოდებს მას ორ კვერცხს და განუმარტავს, რომ კვერცხის თხოვება იგივეა, რაც ბენზინის თხოვება. როგორც ბენზინი გაილეჯა მოხმარებისას, ისე, სავარაუდოდ, ანის კვერცხი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად უნდა და მისთვის გაუგებარია, როგორ შეძლებს ანი მათ უკან დაბრუნებას.
რა მოთხოვნა წარმოეშვა ბენოს ანის მიმართ?

არსი

ქონების თვისებამ შესაძლებელია განაპირობოს სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი.

წესი

თხოვების ხელშეკრულება, სსკ-ის 615-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმობს “დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის” ქონების გადაცემას. “დროებითობა” განაპირობებს გადაცემული ქონების უკან დაბრუნების ვალდებულებას(32). ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ნებისმიერი ქონების თხოვება, თუმცა თხოვების ხელშეკრულების მიზანი არსებითად მიუღწეველია მოხმარებადი ნივთის შემთხვევაში. თუ ქონების ჩვეულებრივი დანიშნულება მოხმარებით ან გალევით ვლინდება, იგი მოხმარების შემდეგ აღარ იარსებებს და უკან ვეღარ დაბრუნდება(33). ასეთი ნივთის თხოვება ეკონომიკურ აზრს მოკლებულია.

ამის საპირისპიროდ, სწორედ მოხმარებადი ნივთებზე იდება სესხის ხელშეკრულება. მისი შინაარსი გულისხმობს “იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის” სხვა ქონების, და არა თავდაპირველად მიღებულის, “უკან დაბრუნებას”. ეს თავისთავად ამ ნივთების სხვა თვისებასაც – “ჩანაცვლებადობას” გულისხმობს. ამდენად, “ჩანაცვლებადის” შინაარსით უნდა განიმარტოს სსკ-ის 623-ე მუხლში მითითებული “გვაროვნული” ნივთი(34).

ჩანაცვლებადი ნივთის თავისებურება განპირობებულია მისი სხვა ნივთით ჩანაცვლების შესაძლებლობით, ანუ იმით, რომ არსებობს სხვა იდენტური ნივთი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ვალდებულების სრულფასოვნად შესასრულებლად. ჩანაცვლებადი ნივთი განისაზღვრება რაოდენობით, ზომით ან წონით(35).

ანალიზი

ბენოს ანის მიმართ შესაძლებელია ჰქონდეს, სსკ-ის 623-ე მუხლის თანახმად, “იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის” ორი კვერცხის “დაბრუნების” მოთხოვნა.

წინაპირობაა მხარეებს შორის დადებული სესხის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში გასაანალიზებელია ანის ნების გამოვლენა და დასადგენია, რამდენად ჰქონდა ანის სესხის ხელშეკრულების დადების ნება.

ანის ნების გამოვლენის სიტყვასიტყვითი ფორმულირების მიუხედავად (“ორი კვერცხის თხოვნა”), გადამწყვეტია ურთიერთობის შინაარსი, რაც ამ ურთიერთობის ეკონომიკური მიზნის მხედველობაში მიღებით უშეცდომოდ შეიძლება განისაზღვროს: ანის სურს ორი კვერცხი; კვერცხის ბუნებრივი დანიშნულება მისი მოხმარებით ვლინდება; ანის სურს კვერცხის მოხმარება; მოხმარებული კვერცხი, სულ მცირე, იმავე სახით ვეღარ იარსებებს. შესაბამისად, ანი კერ შეიძლება იმავე ნივთის უკან დაბრუნებას. ამას ის ობიექტურად არც შეიძლება აპირებდეს. მას შეუძლია მხოლოდ “იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის” სხვა კვერცხების ბენოსათვის გადაცემა.

შესაბამისად, ანის ნება მიმართულია არა თხოვნის, არამედ სესხის ხელშეკრულების დადებაზე.

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან ხელშეკრულების დადების მიმართ სხვა სახის ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, ანისა და ბენოს შორის სესხის ხელშეკრულება დადებულია.

დასკვნა

ბენოს, სსკ-იბ 623-ე მუხლის თანახმად, აქვს ანის მიმართ ორი კვერცხის გადაცემის მოთხოვნა.

16. ადამიანის ნებტი

ანი არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობს და, მისი აზრით, ზეზვასა და მზიას ახლო ნათესავის ნებტს აღმოაჩენს. ანი თავისი მიღწევით აღფრთოვანებულია, ნებტს შორენას არქმევს და ერთ-ერთი მუზეუმისთვის მის მიყიდვას განიზრახავს. მუზეუმის უფლებამოსილი თანამშრომელი სიამოვნებით თანხმდება შეთავაზებული თანხის გადახდას და ნებტს სასწრაფოდ შემდგომი გამოკვლევისთვის აგზავნის. ანის აინტერესებს, რამდენად მოიპოვა მან ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საფასურის გადახდის მოთხოვნა?

არსი

ადამიანის სხეული თუ მისი ცალკეული ნაწილი შეიძლება არ განიხილებოდეს ქონებად მისი გარდაცვალების შემდეგაც.

წესი

ცოცხალი ადამიანის სხეული თუ მისი ცალკეული ნაწილი არ არის ქონება. თავად ადამიანსაც არ გააჩნია თავის სხეულზე საკუთრების უფლება. ადამიანს აქვს პიროვნული უფლება საკუთარ ხელშეუხებლობაზე(36). ადამიანის ორგანოს (მაგალითად, თირკმელი) შესახებ დადებული გარიგება ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებასა და ხელშეუხებლობას. ანალოგიურად, განსაკუთრებული დაცვა ვრცელდება ადამიანის გვამზეც(37).

თუმცა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ადამიანის ნებტების მიმართ ცალკეულ ქვეყანაში შეინიშნება მცდელობა, რომ ისინი გარდაცვალებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჩაითვალოს ნივთად. ეს აიხსნება იმით, რომ გვამი

კონკრეტულ პიროვნებასთან არ იდენტიფიცირდება. თუმცა ასეთი არგუმენტის ლეგიტიმურად აღიარება იწვევს ჯაჭვურ რეაქციას. შესაძლებელია, ანალოგიურად განიხილებოდეს ამჟამად გარდაცვლილი უცნობი ადამიანის გვამი, რომლის ვინაობის დადგენაც, თუნდაც გენეტიკური ტესტის მეშვეობითაც, ვერ ხერხდება(38). ადამიანის ღირსების დაცვა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით არის განმტკიცებული და ხორციელდება მისი ვინაობის მიუხედავად. საკმარისია, რომ ის არის, ან იყო ადამიანი(39).

ანალიზი

ანის მუზეუმის მიმართ შესაძლებელია ჰქონდეს, სსკ-ის 477-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა.

წინაპირობაა მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. აქ პრობლემურია იმის დადგენა, თუ რამდენად შეიძლება ქონებად ადამიანის ნეშტის განხილვა.

ამ შემთხვევაში ადამიანის სხეულის ნივთად მიჩნევის არგუმენტი შეიძლება იყოს ის, რომ აღარ არსებობს კავშირი გარდაცვლილ ადამიანსა და მის გვამს შორის. შესაბამისად, გვამი არ იდენტიფიცირდება კონკრეტულ პიროვნებასთან. ანი მხოლოდ ერთობ ბუნდოვან ვარაუდს გამოთქვამს, რომ ის ზეზვასა და მზიას ახლო ნათესავი შეიძლება იყოს ყოფილიყო და სახელსაც თავად არქმევს. შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს ვარაუდი, რომ იგი (მაგალითად, მრავალი საუკუნის გასვლის გამო) აღარ არის ადამიანის ღირსებიდან გამომდინარე დაცული.

თუმცა ეს რეალურად ნიშნავს ადამიანის ღირსების არსის უგულებელყოფას. ღირსების დაცვა ხორციელდება იმის განურჩევლად, თუ ვინ არის კონკრეტული ადამიანი. ვინაობის დადგენა თუ დადგენადობა არ შეიძლება გავლენას ახდენდეს მის სამართლებრივ სტატუსზე. არსებითია მხოლოდ ის, რომ ის არის, ან იყო ადამიანი. შესაბამისად, მიუღებელია ნებისმიერი სხვა განმარტების ალტერნატივა. თუ ის “იყო ადამიანი”, მას აქვს ღირსება გარდაცვალების შემდეგაც.

შესაბამისად, შეუძლებელია ადამიანის ნეშტის ნივთად განხილვა. ის არ არის ქონება. ანისა და მუზეუმს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულია.

დასკვნა

ანის მუზეუმის მიმართ არ აქვს, სსკ-ის 477-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა.

17. ნივთის შემადგენელი ნაწილი და საკუთვნილებელი

ანი გადაწყვეტს, ბენოს თავისი მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები მიჰყიდოს. მხარეები ხელშეკრულების პირობებზე თანხმდებიან და ანი დაუყოვნებლივ იწყებს ნასყიდობის საგნის “მისი ნივთებისგან განთავსისუფლებას”. როდესაც ანი ხელოსნებს ურეკავს სამზარეულოს ჩაშენებული კარადების, სახლის აივნის ანტიკვარული მოაჯირისა და საცურაო აუზთან მოწყობილი წყლის სასრილოს დემონტაჟის განსახორციელებლად, ბენო აღშფოთებას ვერ მალავს. ის დარწმუნებულია, რომ ჩამოთვლილთაგან არცერთი არ შეიძლება დამოუკიდებელ ნივთად იქნეს განხილული და ისინი მან შეიძინა როგორც მიწის ნაკვეთისგან განუყოფელი ქონება. ანის ამ შეხედულებაზე ეცინება და ბენოს განუმარტავს, რომ “თითოეული მათგანი მხოლოდ

ჭანჭიკებით არის დამაგრებული და მათ განცალკევებას მხოლოდ ხელმარჯვე ოსტატის ქანჩი სჭირდება.”

აქვს ბენოს ანის მიმართ რაიმე მოთხოვნა სამზარეულოს ჩაშენებული კარადების, სახლის აივნის ანტიკვარული მოაჯირისა და საცურაო აუზთან მოწყობილ წყლის სასრიალოსთან მიმართებით?

არსი

ნივთის განცალკევადობის თვისებამ შეიძლება განაპირობოს მისი ცალკე უფლების ობიექტად განხილვის შესაძლებლობა, ხოლო სხვა ნივთისადმი მიკუთვნებადობამ – მისი ამ “ძირითადი ნივთის” მიმართ მოქმედ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა.

წესი

“შემადგენელი ნაწილი” ძირითადი ნივთისაგან “განუყოფელია” და მასთან ერთ მთლიანობად აღიქმება. სსკ-ის 150-ე მუხლის I ნაწილით ასეთად განიხილება “ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების, ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე.” შესაბამისად, მას არ აქვს დამოუკიდებელ ნივთად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი თვისებები და ყოველთვის ნივთის ნაწილად რჩება(40).

სსკ-ის 151-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, “საკუთვნიელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ითვლება საკუთვნიელად.” შესაბამისად, შემადგენელი ნაწილისგან განსხვავებით, საკუთვნიელი დამოუკიდებელი მოძრავი ნივთია და, ბუნებრივია, შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

მიუხედავად ამისა, ნებისმიერი განკარგვა, მიმართული ცალკეულ ქონებაზე, როგორც წესი, მოიცავს მის საკუთვნიელსაც. ეს გამომდინარეობს საკუთვნიელის ეკონომიკური მიზნიდან, რომელიც ძირითადი ნივთის “სამსახურითა” და “მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით” ვლინდება.

სსკ-ის 151-ე მუხლის I ნაწილის დეფინიციის მიუხედავად, არ არის აუცილებელი, “საკუთვნიელს” ჰქონდეს ნივთთან “სივრცობრივი კავშირი”. გადამწყვეტია ის, რომ იგი “განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის”. გარდა ამისა, ნივთი სამართლებრივ ურთიერთობებში (“დამკვიდრებული შეხედულების თანახმად”) უნდა ითვლებოდეს საკუთვნიელად, ანუ ამ ნივთებს შორის ერთგვარი იერარქიული დაქვემდებარება უნდა არსებობდეს. ამასთან, მნიშვნელოვანია ნივთის “მთავარი ნივთისათვის” მიკუთვნების ფაქტი და არა ის, უკვე იყო თუ არა იგი რეალურად გამოყენებული მასთან ურთიერთკავშირში(41).

ანალიზი

ბენოს შესაძლებელია მოეპოვებინა ანის მიმართ სამზარეულოს ჩაშენებული კარადების, სახლის აივნის ანტიკვარული მოაჯირისა და საცურაო აუზთან მოწყობილ წყლის სასრილოოსა და მათზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად.

წინაპირობაა მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია, თუ რამდენად მოექცა ჩამოთვლილი მხარეთა მიერ შეთანხმებულ ქონებაში.

პირველ რიგში, გასაანალიზებელია, ხომ არ შეიძლება, რომელიმე მათგანის განცალკევებამ მისი ან ძირითადი ნივთის დანიშნულების მოსპობა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ეს ნივთი, სსკ-ის 150-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ნივთის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. ცხადია, მასზე ცალკე უფლების არსებობა სამართლებრივ-ტექნიკურადაც გამოირიცხებოდა და ბენოს მოთხოვნის არსებობა უკვე ამ გარემოებიდან გამომდინარე დადასტურდებოდა.

მოცემულ შემთხვევაში, სამზარეულოს ჩაშენებული კარადები, სახლის აივნის ანტიკვარული მოაჯირი და საცურაო აუზთან მოწყობილი სასრილოო ძირითადი ნივთისგან განცალკევებით არ კარგავს ეკონომიკურ დანიშნულებას. ბუნებრივია, ეს არ გამოიწვევს ძირითადი ნივთის – მიწის ნაკვეთისა თუ სახლის – არც “განადგურებასა” და არც “დანიშნულების მოსპობას”.

ამდენად, ისინი, სსკ-ის 150-ე მუხლის I და II ნაწილების შესაბამისად, ვერ განიხილება ნივთის შემადგენელ ნაწილად.

შემდგომ გასაანალიზებელია, ხომ არ შეიძლება, ეს ნივთები საკუთვნებლად იქნეს განხილული, სსკ-ის 151-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში ისინი სამართლებრივ-ტექნიკურად შეიძლება განიხილებოდნენ ცალკე უფლების ობიექტად, თუმცა მოექცეოდნენ სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში და გაიზიარებდნენ იმ ძირითადი ქონების ბედს, რომლთანაც ეკონომიკური თვალსაზრისით არიან დაკავშირებულნი. ეს რომ ასე არ მოხდეს, აუცილებელია მხარეთა ხელშეკრულებაში სპეციალური დათქმის გაკეთება, რომ მათზე უნდა გავრცელდეს ძირითადი ნივთისგან განსხვავებული სამართლებრივი შედეგი.

შესაბამისად, დასადგენია, რამდენად უნდა ჩაითვალოს ეს ნივთები საკუთვნებლად. ის, რომ მხარეებს მათზე სპეციალური შეთანხმება არ ჰქონიათ, საქმის გარემოებებიდან დადგენილია და დამატებით გამოკვლევას არ საჭიროებს. ამდენად, თუ ისინი საკუთვნებლად ჩაითვლებიან, ბენო ძირითად ქონებასთან ერთად მოიპოვებს მათზეც სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

საკუთვნებლად განხილვისთვის მითითებული საგნებიდან თითოეული უნდა იყოს განცალკევებადი მოძრავი ნივთი.

ამ შემთხვევაში დასაშვებად უნდა ჩაითვალოს, რომ დემონტაჟის ანუ განცალკევების შემდეგ თითოეული მათგანი შესაძლებელია

გადაადგილებული იქნეს და კვლავ დამონტაჟებული მათი ეკონომიკური დანიშნულებისამებრ. შესაბამისად, ეს წინაპირობა დაკმაყოფილებულია. შემდგომ უნდა დასტურდებოდეს ამ ნივთების ძირითად ნივთთან ეკონომიკური თუ დანიშნულებრივი კავშირი. ამ შემთხვევაში, სამზარეულოს ჩაშენებული კარადები, სახლის აივნის ანტიკვარული მოაჯირი და საცურაო აუზთან მოწყობილი წყლის სასრილო, ეკონომიკური თუ “საერთო სამეურნეო დანიშნულებით”, დაკავშირებულია, შესაბამისად, სამზარეულოსთან, აივანთან ან აუზთან, ანუ სახლსა და მიწის ნაკვეთთან.

ამასთან, თითოეული მათგანის დაქვემდებარება, ანუ “მთავარი ნივთის სამსახურისათვის” მოაზრება, არ ქმნის სირთულეს: კარადა ესაჭიროება სამზარეულოს, მოაჯირი – აივანს, წყლის სასრილო – აუზს, და არა პირიქით.

დაბოლოს, არც “დამკვიდრებული შეხედულების” თვალსაზრისით არ არის სადავო ჩამოთვლილთაგან თითოეულის საკუთვნებლად განხილვა. ისინი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, როგორც წესი, არ მიიჩნევიან. ზოგადად, გაზიარებულად უნდა ჩაითვალოს შეხედულება, რომ მათი ეკონომიკური დანიშნულება სხვა ნივთის სამსახურით ვლინდება.

შესაბამისად, ეს ნივთები საკუთვნებლად უნდა იქნენ განხილული.

დასკვნა

ბენოს აქვს ანის მიმართ სამზარეულოს ჩაშენებული კარადების, სახლის აივნის ანტიკვარული მოაჯირისა და საცურაო აუზთან მოწყობილ სასრილოსა და მათზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად.

18. საკუთრების შინაარსი

ანი თავისი მიწის ნაკვეთზე წვეულებას აწყობს. ხმაურიანი მეგობრების წრეში ის სასიამოვნო დროს ატარებს, მეზობლებს მრავალმხრივი მუსიკალური მიმდინარეობის უფასო კონცერტით ანებივრებს და გარემოს სხვადასხვა კერძის სასიამოვნო სურნელში ახვევს. ბენო აღშფოთებულია - ის არც წვეულებაზე დაპატიჟეს, არც ამაზრზენი მუსიკის ხმის დახშობა არ ისურვეს და, რაც მთავარია, მისი კუჭიც უსაფუძვლოდ ააფორიაქეს. მის მრისხანე შეძახილებს ანიმ მუსიკის მომატებით უპასუხა და როდესაც უკვე ბენო ანის ეზოში უკიდურესი ზომის სახით, თოხით ხელში, გამოცხადდა, ანიმ მას მოურიდებლად განუცხადა, რომ დაუყოვნებლივ თოხითურთ დაეტოვებინა ეზოს ტერიტორია. ის მას მტკიცედ დაჰპირდა, რომ სტუმრები დროულად, საღამოს 9 საათისთვის დაიშლებოდნენ და გარემოც თავის ჩვეულ მშვიდ რიტმს დაუბრუნდებოდა. ამასთან, მეტი დამაჯერებლობისთვის ანი

ბენოს სხვის საკუთრებაში უნებართვო შეჭრის გამო საპატრულო პოლიციის გამოიძახებითაც დაემუქრა.

აქვს ანის უფლება, მოსთხოვოს ბენოს მისი ეზოს დატოვება და გააგრძელოს თავისი საკუთრებით წვეულებით გათვალისწინებული ფორმით სარგებლობა?

VII. ქონება (არსი და წესი)

14. მოძრავი და უძრავი ნივთები

ანის სურს შეიძინოს ბენოს ფიცრული ქოჩი, რომელიც უნდა დაშალოს და ხის მასალა ხელახალი მშენებლობისათვის გამოიყენოს. მხარეები უპრობლემოდ თანხმდებიან, ანი საფასურს დაუყოვნებლივ იხდის და დემონტაჟის განსახორციელებლად მეორე დღისთვის ხელოსნებსაც იბარებს. სახლში მისულს, იურიდიული ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი ძმა ეუბნება, რომ მას ბენოს მიმართ მოთხოვნის მოსაპოვებლად ხელშეკრულება წერილობით უნდა დაედო.

რა მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეს ანის ბენოს მიმართ?

არსი

ქონების თვისებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ამ ქონებაზე დადებული გარიგებას ნამდვილობის სპეციალური მოთხოვნები წაეყენოს.

წესი

უძრავ ქონებაზე (ნივთზე) დადებული გარიგება ნამდვილობისათვის მოითხოვს წერილობითი ფორმით დადებას, სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად. ანალოგიური ვალდებულება გათვალისწინებულია სსკ-ის 183-ე მუხლის წინაპირობად, რომელიც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემას აწესრიგებს.

სსკ-ის 148-ე მუხლის შესაბამისად, “ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი.” ამასთან, სსკ-ის 149-ე მუხლით ზუსტდება, რომ “უძრავ ნივთებს მიეკუთვნება: მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე არსებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.”

შესაბამისად, უძრავი ნივთია “მიწის ნაკვეთი” – სივრცობრივად გამოყოფილი, საკადასტრო წესით აზომილი და საჯარო რეესტრში სპეციალური აღნიშვნით რეგისტრირებული მიწის ზედაპირი(28). ყველა სხვა ნივთი არის მოძრავი ან უძრავი ნივთის (არსებითი შემადგენელი) ნაწილი.

ბუნებრივია, სსკ-ის 149-ე მუხლის დებულების მიხედვით, მიწაზე არსებული მცენარეებისა და შენობა-ნაგებობების განხილვა შეიძლება არა დამოუკიდებელ უძრავ ნივთებად, არამედ იმ მიწის ნაკვეთის (არსებით შემადგენელ) ნაწილებად(29), რომელთანაც არიან დაკავშირებული(30).

იმ შემთხვევაში, თუ ნების გამოვლენის საგანი არის უძრავი ნივთის ნაწილი ამ უძრავი ნივთისაგან დამოუკიდებლად, შესაბამისი ურთიერთობა წარმოიშობა მასზე, როგორც (მომავალში) მოძრავ ნივთზე(31). წინააღმდეგ შემთხვევაში, ნების გამოვლენის საგანი იქნებოდა უშუალოდ უძრავი ნივთი.

> ანალიზი და დასკვნა

15. ჩანაცვლებადი და მოხმარებადი ნივთები

ანი თავის მეზობელ ბენოს ორი კვერცხის თხოვებას მოკრძალებულად სთხოვს. ბენო ღიმილით უწოდებს მას ორ კვერცხს და განუმარტავს, რომ კვერცხის თხოვება იგივეა, რაც ბენზინის თხოვება. როგორც ბენზინი გაილევა მოხმარებისას, ისე, სავარაუდოდ, ანის კვერცხი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად უნდა და მისთვის გაუგებარია, როგორ შეძლებს ანი მათ უკან დაბრუნებას.

რა მოთხოვნა წარმოეშვა ბენოს ანის მიმართ?

არსი

ქონების თვისებამ შესაძლებელია განაპირობოს სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი.

წესი

თხოვნების ხელშეკრულება, სსკ-ის 615-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმობს “დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის” ქონების გადაცემას. “დროებითობა” განაპირობებს გადაცემული ქონების უკან დაბრუნების ვალდებულებას(32). ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ნებისმიერი ქონების თხოვნა, თუმცა თხოვნების ხელშეკრულების მიზანი არსებითად მიუღწეველია მოხმარებადი ნივთის შემთხვევაში. თუ ქონების ჩვეულებრივი დანიშნულება მოხმარებით ან გალევით ვლინდება, იგი მოხმარების შემდეგ აღარ იარსებებს და უკან ვეღარ დაბრუნდება(33). ასეთი ნივთის თხოვნა ეკონომიკურ აზრს მოკლებულია.

ამის საპირისპიროდ, სწორედ მოხმარებად ნივთებზე იდება სესხის ხელშეკრულება. მისი შინაარსი გულისხმობს “იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის” სხვა ქონების, და არა თავდაპირველად მიღებული, “უკან დაბრუნებას”. ეს თავისთავად ამ ნივთების სხვა თვისებასაც – “ჩანაცვლებადობას” გულისხმობს. ამდენად, “ჩანაცვლებადის” შინაარსით უნდა განიმარტოს სსკ-ის 623-ე მუხლში მითითებული “გვაროვნული” ნივთი(34).

ჩანაცვლებადი ნივთის თავისებურება განპირობებულია მისი სხვა ნივთით ჩანაცვლების შესაძლებლობით, ანუ იმით, რომ არსებობს სხვა იდენტური ნივთი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ვალდებულების სრულფასოვნად შესასრულებლად. ჩანაცვლებადი ნივთი განისაზღვრება რაოდენობით, ზომით ან წონით(35).

> ანალიზი და დასკვნა

16. ადამიანის ნეშტი

ანი არქეოლოგიურ გათხრებში მოწაწილეობს და, მისი აზრით, ზეზვასა და მზიას ახლო ნათესავის ნეშტს აღმოაჩენს. ანი თავისი მიღწევით აღფრთოვანებულია, ნეშტს შორენას არქმევს და ერთ-ერთი მუზეუმისთვის მის მიყიდვას განიზრახავს. მუზეუმის უფლებამოსილი თანამშრომელი სიამოვნებით თანხმდება შეთვალბული თანხის გადახდას და ნეშტს სასწრაფოდ შემდგომი გამოკვლევისთვის აგზავნის.

ანის აინტერესებს, რამდენად მოიპოვა მან ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საფასურის გადახდის მოთხოვნა?

არსი

ადამიანის სხეული თუ მისი ცალკეული ნაწილი შეიძლება არ განიხილებოდეს ქონებად მისი გარდაცვალების შემდეგაც.

წესი

ცოცხალი ადამიანის სხეული თუ მისი ცალკეული ნაწილი არ არის ქონება. თავად ადამიანსაც არ გააჩნია თავის სხეულზე საკუთრების უფლება. ადამიანს აქვს პიროვნული უფლება საკუთარ ხელშეუხებლობაზე(36). ადამიანის ორგანოს (მაგალითად, თირკმელი) შესახებ დადებული გარიგება ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებასა და ხელშეუხებლობას. ანალოგიურად, განსაკუთრებული დაცვა ვრცელდება ადამიანის გვამზეც(37).

თუმცა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ადამიანის ნეშტების მიმართ ცალკეულ ქვეყანაში შეინიშნება მცდელობა, რომ ისინი გარდაცვალებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჩაითვალოს ნივთად. ეს აიხსნება იმით, რომ გვამი კონკრეტულ პიროვნებასთან არ იდენტიფიცირდება. თუმცა ასეთი არგუმენტის ლეგიტიმურად აღიარება იწვევს ჯაჭვურ რეაქციას. შესაძლებელია, ანალოგიურად

განიხილებოდა ამჟამად გარდაცვლილი უცნობი ადამიანის გვამი, რომლის ვინაობის დადგენაც, თუნდაც გენეტიკური ტესტის მეშვეობითაც, ვერ ხერხდება(38). ადამიანის ღირსების დაცვა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით არის განმტკიცებული და ხორციელდება მისი ვინაობის მიუხედავად. საკმარისია, რომ ის არის, ან იყო ადამიანი(39).

> ანალიზი და დასკვნა

17. ნივთის შემადგენელი ნაწილი და საკუთვნებელი

ანი გადაწყვეტს, ბენოს თავისი მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები მიჰყიდოს. მხარეები ხელშეკრულების პირობებზე თანხმდებიან და ანი დაუყოვნებლივ იწყებს ნასყიდობის საგნის “მისი ნივთებისგან განთავსულობას”. როდესაც ანი ხელოსნებს ურევავს სამხარეულოს ჩაშენებული კარადების, სახლის აივნის ანტიკვარული მოაჯირისა და საცურაო აუზთან მოწყობილი წყლის სასრილოს დემონტაჟის განსახორციელებლად, ბენო აღშფოთებას ვერ მალავს. ის დარწმუნებულია, რომ ჩამოთვლილთაგან არცერთი არ შეიძლება დამოუკიდებელ ნივთად იქნეს განხილული და ისინი მან შეიძინა როგორც მიწის ნაკვეთისგან განუყოფელი ქონება. ანის ამ შეხედულებაზე ეცინება და ბენოს განუმარტავს, რომ “თითოეული მათგანი მხოლოდ ჭანჭიკებით არის დამაგრებული და მათ განცალკევებას მხოლოდ ხელმარჯვე ოსტატის ქანჩი სჭირდება.” აქვს ბენოს ანის მიმართ რაიმე მოთხოვნა სამხარეულოს ჩაშენებული კარადების, სახლის აივნის ანტიკვარული მოაჯირისა და საცურაო აუზთან მოწყობილ წყლის სასრილოსთან მიმართებით?

არსი

ნივთის განცალკევადობის თვისებამ შეიძლება განაპირობოს მისი ცალკე უფლების ობიექტად განხილვის შესაძლებლობა, ხოლო სხვა ნივთისადმი მიკუთვნებულობამ – მისი ამ “ძირითადი ნივთის” მიმართ მოქმედ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა.

წესი

“შემადგენელი ნაწილი” ძირითადი ნივთისაგან “განუყოფელია” და მასთან ერთ მთლიანობად აღიქმება. სსკ-ის 150-ე მუხლის I ნაწილით ასეთად განიხილება “ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების, ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე.” შესაბამისად, მას არ აქვს დამოუკიდებელ ნივთად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი თვისებები და ყოველთვის ნივთის ნაწილად რჩება(40).

სსკ-ის 151-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, “საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ითვლება საკუთვნებლად.”

შესაბამისად, შემადგენელი ნაწილისგან განსხვავებით, საკუთვნებელი დამოუკიდებელი მოძრავი ნივთია და, ბუნებრივია, შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

მიუხედავად ამისა, ნებისმიერი განკარგვა, მიმართული ცალკეულ ქონებაზე, როგორც წესი, მოიცავს მის საკუთვნებელსაც. ეს გამომდინარეობს საკუთვნებლის ეკონომიკური მიზნიდან, რომელიც ძირითადი ნივთის “სამსახურითა” და “მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით” ვლინდება.

სსკ-ის 151-ე მუხლის I ნაწილის დეფინიციის მიუხედავად, არ არის აუცილებელი, “საკუთვნებელს” ჰქონდეს ნივთთან “სივრცობრივი კავშირი”. გადამწყვეტია ის, რომ იგი “განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის”. გარდა ამისა, ნივთი სამართლებრივ ურთიერთობებში (“დამკვიდრებული შეხედულების თანახმად”) უნდა ითვლებოდეს საკუთვნებლად, ანუ ამ ნივთებს შორის ერთგვარი იერარქიული დაქვემდებარება უნდა არსებობდეს. ამასთან, მნიშვნელოვანია ნივთის “მთავარი

ნივთისათვის” მიკუთვნების ფაქტი და არა ის, უკვე იყო თუ არა იგი რეალურად გამოყენებული მასთან ურთიერთკავშირში(41).

> ანალიზი და დასკვნა

18. საკუთრების შინაარსი

ანი თავისი მიწის ნაკვეთზე წვეულებას აწყობს. ხმაურიანი მეგობრების წრეში ის სასიამოვნო დროს ატარებს, მეზობლებს მრავალმხრივი მუსიკალური მიმდინარეობის უფასო კონცერტით ანებივრებს და გარემოს სხვადასხვა კერძის სასიამოვნო სურნელოვანი ახვევს. ბენო აღშფოთებულია - ის არც წვეულებაზე დაპატიჟეს, არც ამაზრუნენი მუსიკის ხმის დახმობა არ ისურვებს და, რაც მთავარია, მისი კუჭიც უსაფუძვლოდ ააფორიაქეს. მის მრისხანე შეძახილებს ანიმ მუსიკის მომატებით უპასუხა და როდესაც უკვე ბენო ანის ეზოში უკიდურესი ზომის სახით, თოხით ხელში, გამოცხადდა, ანიმ მას მოურიდებლად განუცხადა, რომ დაუყოვნებლივ თოხითურთ დაეტოვებინა ეზოს ტერიტორია. ის მას მტკიცედ დაჰპირდა, რომ სტუმრები დროულად, საღამოს 9 საათისთვის დაიშლებოდნენ და გარემოც თავის ჩვეულ მშვიდ რიტმს დაუბრუნდებოდა. ამასთან, მეტი დამაჯერებლობისთვის ანი ბენოს სხვის საკუთრებაში უნებართვო შეჭრის გამო საპატრულო პოლიციის გამოიძახებითაც დაემუქრა.

აქვს ანის უფლება, მოსთხოვოს ბენოს მისი ეზოს დატოვება და გააგრძელოს თავისი საკუთრებით წვეულებით გათვალისწინებული ფორმით სარგებლობა?

არსი

საკუთრებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელებისას შესაძლებელია, დასაშვებად იქნეს მიჩნეული სხვა პირის ინტერესებში შეჭრა იმ მოცულობით, რაც არათანაზომიერად არ ზღუდავს მას თავის უფლებებში.

წესი

სსკ-ის 170-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, “მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.”

საკუთრების უფლების შინაარსის ეს აღწერა ადგენს მესაკუთრის მოქმედების თავისუფლების ფარგლებს.

ერთი მხრივ, საკუთრება ქონებაზე “სრული ბატონობის” გამომნატველი აბსოლუტური უფლებაა. მესაკუთრე უფლებამოსილია, მოექცეს ქონებას თავისი შეხედულებისამებრ, მათ შორის, განკარგოს იგი. იგი ამ ქონების ბედს განაგებს მასზე მესამე პირების ზემოქმედების გამორიცხვის თვალსაზრისითაც.

მეორე მხრივ, მესაკუთრის მოქმედების თავისუფლება იზღუდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს აუცილებელია სხვა პირთა ინტერესების არათანაზომიერი ხელყოფის აღკვეთისათვის(42).

სსკ-ის 175-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, “მიწის ნაკვეთის... მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.”

სსკ-ის 175-ე მუხლის II ნაწილით დასაშვებად მიიჩნევა არსებითი ზემოქმედებაც, რაც გამოწვეულია “ჩვეულებრივი სარგებლობით” და მისი აღკვეთა არ შეიძლება ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ გამოყენებული საშუალებებით.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები სსკ-ის მე-10 მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული “უფლების ბოროტად გამოყენების” აკრძალვა და სსკ-ის მე-8 მუხლის III ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების პრინციპი.

28. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 194 შემდგომი მითითებებით.
29. შუად. სსკ-ის 150-ე მუხლი.
30. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 193 და შემდგომი.
31. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 194.
32. იხ. სსკ-ის 621-ე მუხლი.
33. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 184 და შემდგომი; ასევე 199 და შემდგომი.
34. შუად., მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლი, რომელშიც სწორედ “წარმომადგენელი” (vertretbare) და არა “გვაროვნული” (der Gattung nach bestimmte) ნივთი განიხილება სესხის ხელშეკრულების დადების წინაპირობად.
35. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 184; 196 და შემდგომი.
36. შუად., მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-16 და შემდგომი მუხლები.
37. იხ. დეტალურად კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 203 და შემდგომი.
38. იხ. იქვე, 205 და შემდგომი.
39. იქვე, 206.
40. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 210 და შემდგომი.
41. იქვე, 212, შემდგომი მითითებებით.
42. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 220 და შემდგომი.

ანალიზი

ანის შესაძლებელია ჰქონდეს ბენოს მიმართ მისი საკუთრებით უნებართვო სარგებლობისაგან თავის შეკავების მოთხოვნა, ისევე როგორც თავისი საკუთრებით სურვილისამებრ სარგებლობის უფლება, სსკ-ის 170-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე.

ამ მოთხოვნის წინაპირობებია ის, რომ ანი უნდა იყოს მესაკუთრე და ბენო მისი ქონებით სარგებლობას სამართლებრივი, მაგალითად, სახელშეკრულებო, საფუძვლის გარეშე ახორციელებდეს.

ეს წინაპირობები საქმის გარემოებებიდან დგინდება. ანი მესაკუთრეა, ბენო მის ნაკვეთზე უნებართვოდ იმყოფება.

თოხმოღერებული ბენოს გამოჩენა ანის მიწის ნაკვეთზე თუნდაც რომ ჩაითვალოს მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე ხელშეკრულების დადების შეთავაზებად, ანის თანხმობა ცალსახად არ გამოუთქვამს. შესაბამისად, ბენოს ვერ წარმოეშობოდა ანის ნაკვეთზე ყოფნის სახელშეკრულებო საფუძველი.

გარდა ამისა, დამატებით განსახილველია, ხომ არ შეიძლება ანის მოქმედება განხილულიყო, მაგალითად, უფლების ბოროტად გამოყენებად, რასაც შეეძლო, ბენოს მიმართ მოთხოვნის განხორციელება შეეფერებინა.

შესაბამისად, დასადგენია, თუ რამდენად ჯდება ანის მოქმედება საკუთრების უფლების შინაარსის ფორმატში. კერძოდ, ხომ არ შეიძლება, ანის საკუთრების უფლების რეალიზებიდან ბენოს ინტერესების შეზღუდვა გამომდინარეობდეს, ხოლო თუ გამომდინარეობს, რამდენად შეიძლება, ის “მნიშვნელოვნად” ჩაითვალოს. სსკ-ის 175-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, წინაპირობაა ის, რომ მესაკუთრის სხვა მესაკუთრის ქონებაზე ზემოქმედებანი “ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.”

ამ შემთხვევაშიც მხედველობაშია მისაღები თანაზომიერების პრინციპი, რათა გამოირიცხოს მესაკუთრის მიერ სხვა მესაკუთრის უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვა.

თავის მხრივ, ბენოს ეკისრება ე.წ. თმენის ვალდებულება, რაც მისი მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მომავალი ხმაურითა და სუნით გამოიხატება. მესაკუთრემ უნდა ითმინოს დისკომფორტი, რომელიც მას ექმნება სხვა პირის მიერ თავისი საკუთრებით სარგებლობის გამო. თანაზომიერების პრინციპის მოქმედების ფარგლები ამ შემთხვევაშიც უცვლელია: ინდივიდმა უნდა გაითვალისწინოს სხვა ინდივიდის ინტერესები იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს არ იწვევს თავისი საკუთარი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.

დასკვნა

ანის აქვს ბენოს მიმართ მისი საკუთრებით უნებართვო სარგებლობისაგან თავის შეკავების მოთხოვნა, ისევე როგორც თავისი საკუთრებით სურვილისამებრ სარგებლობის უფლება, სსკ-ის 170-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე.

VIII. ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობები

19. კეთილგანწყობის ურთიერთობა

ანი სთავაზობს თავის მეგობარ ბენოს საღამოს ცხრა საათზე ავტომანქანით გავლას და კინოთეატრში წაყვანას. ბენო, რომელიც ამ იდეით აღფრთოვანებულია, დაუყოვნებლივ თანხმდება წინადადებას. ამასთან, ის შეხვედრისთვის საგანგებოდ ემზადება და ახალ პერანგსაც ყიდულობს. საღამოს ანი ბებიას მოინახულებს, აწყობს ოჯახურ წვეულებას და ბენო მხოლოდ მეორე დღეს, მაშინ ახსენდება, როდესაც ბენოს საყვდურებით დამძიმებულ ტექსტურ შეტყობინებას კითხულობს.

რა მოთხოვნები აქვს ბენოს ანის მიმართ?

არსი

“ნების გამოვლენის” არარსებობა შესაძლებელია განპირობებული იყოს სამართლებრივი შედეგზე მიმართული ნების არარსებობით.

წესი

“გარიგების” ცნება წესრიგდება სსკ-ის 50-ე მუხლით. “გარიგება” “ნების გამოვლენაა”. ის შეიძლება ერთი, ორი ან ორზე მეტი პირის გაერთიანებული ნების საფუძველზე დაიდოს. შესაბამისად, სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის შესაძლებელია საჭირო იყოს “ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა”.

“ნების გამოვლენა” სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული ნების ობიექტურად შეცნობადი გაცხადებაა.

“ნება” შინაგანი, სუბიექტური კომპონენტია. იგი მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომაზე. “გამოვლენა” ამ ნების ობიექტური გაცხადებაა იმ სახით, რომ გასაგები, აღქმადი იყოს ადრესატის მიერ.

თუ ნება არ არის მიმართული სამართლებრივი შედეგის დადგომაზე, მაშინ არ არსებობს “ნების გამოვლენის” სუბიექტური კომპონენტი.

შესაბამისად, ასეთი ნების ობიექტურად შეცნობადად გაცხადების მიუხედავად, შეუძლებელია არსებობდეს “ნების გამოვლენა”.

ამდენად, სსკ-ის 50-ე მუხლის განმარტებისას მხედველობაშია მისაღები, რომ სწორედ “ნება”, როგორც “ნების გამოვლენის” ერთ-ერთი კომპონენტი (და არა “ნების გამოვლენა”, როგორც სუბიექტური და ობიექტური კომპონენტების ერთობლიობა), შეიძლება იყოს მიმართული სამართლებრივი შედეგის დადგომაზე, ანუ “სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.”(44)

“ნების” კომპონენტს შინაარსობრივად უკავშირდება “ბოჭვის ნება”, რომელიც აღწერილია სსკ-ის 329-ე მუხლის I ნაწილით. “ბოჭვის ნება” არსებობს მაშინ, როდესაც ნების ფორმირების საბოლოოობაში არ არსებობს ეჭვის შეტანის საფუძველი.

ანალიზი

ბენოს შესაძლებელია ჰქონოდა ანის მიმართ, მაგალითად, გადაყვანის ხელშეკრულებიდან, ანუ სსკ-ის 668-ე მუხლიდან, გამომდინარე მოთხოვნა ან მეორადი მოთხოვნები ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

წინაპირობაა მხარეებს შორის შესაბამისი ხელშეკრულების დადება: ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა და ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების არარსებობა. მეორადი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობა კი იქნებოდა პირველადი მოთხოვნის შეუსრულებლობა, ანუ ამ შემთხვევაში სსკ-ის 668-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, გასაანალიზებელია, თუ რამდენად შეიძლებოდა ანის მოქმედებას სამართლებრივი შედეგები მოჰყოლოდა.

ამისათვის, სსკ-ის 50-ე მუხლის გათვალისწინებით, აუცილებელი იქნებოდა ანის შეთავაზების ნების გამოვლენად განმარტება. შესაბამისად, ანის უნდა ჰქონოდა სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული ნება და ეს ნება ობიექტურად შეცნობადად გაცხადებინა.

ანის “ნების გამოვლენის” შემთხვევაში შესაძლებელია, არ არსებობდეს სწორედ სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული ნება, ანუ ნების გამოვლენის სუბიექტური კომპონენტი. ეს, ბუნებრივია, გამორიცხავდა ნების გამოვლენის არსებობას და შესაბამისი ხელშეკრულების დადებას.

ანი ბენოს სთავაზობს “ავტომატურად გავლას და კინოთეატრში წაყვანას”, როგორც თავის მეგობარს. ამასთან, შემთხვევის გარემოებებიდან იკვეთება, რომ ანის ამ შეთავაზებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, ანის ჰქონოდა ამ დაპირებით ბოჭვის ნება, ანუ სურვილი, სამართლებრივად ყოფილიყო ვალდებული, განეხორციელებინა შესაბამისი მოქმედება.

უფრო ლოგიკურია, რომ ანის შეთავაზება ბენოს მიმართ ყოფილიყო მეგობრული ჟესტი. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში არ არსებობს მოლოდინი, რომ დაპირების შეუსრულებლობას რაიმე სამართლებრივი

შედეგები – მაგალითად, სასამართლოში მიმართვით კინოთეატრში წყევანის იძულება – შეიძლება მოჰყვეს.

შესაბამისად, ანის არ ჰქონია სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული ნება და არ სურდა სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება. მისი დაპირება კეთილგანწყობის გამოხატვა იყო.

ამდენად, არ არსებობს ორი შინაარსობრივად ურთიერთმჭარავი ნების გამოვლენა. შესაბამისად, ანისა და ბენოს შორის ხელშეკრულება არ დადებულია.

დასკვნა

ბენოს არ აქვს ანისგან კინოთეატრში წყევანის მოთხოვნა, სსკ-ის 668-ე მუხლიდან გამომდინარე.

20. მოქმედების ნება

ანი ქართული სუფრის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლას პრაქტიკულად ახორციელებს. მის გვერდით მჯდომ ბენოს რამდენიმე საათის განმავლობაში არ გამოუტოვებია არცერთი განსხვავებული სასმისი და დამსახურებულ ძილს ახლა საცივში თვის ჩარგვის გზით მისცემია. ანის ყურადღება ბენოს ძილის პოზასა და მძიმე სუნთქვაზე მეტად მისმა ძვირფასმა საათმა მიიქცია. ანი საათის შეძენას ბენოს 50 ლარად სთავაზობს, ხოლო შემდგომ ნაზად კიდებს მის თავს ხელს და თანხმობის ნიშნად რამდენჯერმე აქნევინებს. ანი თვლის, რომ მან წარმატებული ხელშეკრულება დადო.

შესაძლებელია, ანის რაიმე მოთხოვნა მოეპოვებინა?

არსი

“ნების გამოვლენის” არარსებობა შესაძლებელია განპირობებული იყოს “მოქმედების ნების” არარსებობით.

წესი

ნების გამოვლენა თუ გარიგება არ არსებობს სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული “ნების”, ანუ ნების გამოვლენის სუბიექტური კომპონენტის გარეშე.

ნების ფორმირების ანალიზისას იმიჯნება: “მოქმედების ნება”, “გამოვლენის ნება” და “სამართლებრივი შედეგის დადგომის ნება”.(45)

იმისათვის, რომ პირის მოქმედებას სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს, მას უნდა ჰქონდეს ნება, იმოქმედოს. ამდენად, “მოქმედების ნება” ნების ფორმირებისა და, შესაბამისად, ნების გამოვლენის სავალდებულო კომპონენტია. ამის საპირისპიროდ, “გამოვლენის ნებისა” და “სამართლებრივი შედეგის დადგომის ნების” არარსებობა არ აფერხებს ნების გამოვლენის ფორმირებას.

მოქმედების ნება არ არსებობს, მაგალითად, რეფლექსური მოძრაობის, ძილში საუბრის, ჰიპნოზურ მდგომარეობაში მოქმედების ან “აბსოლუტური ფიზიკური ზემოქმედების” შემთხვევაში. ამასთან, აბსოლუტური ფიზიკური ზემოქმედებისას პირის მოქმედების ნების ფორმირება ვერ მოხდება, ვინაიდან რეალურად მის ნაცვლად სხვა პირი მოქმედებს, მაგალითად, როდესაც ინდივიდს უშუალოდ ამ მოქმედებაზე მიმართული ფიზიკური ზემოქმედებით ხელს აწერინებენ ან თავს აქნევინებენ.(46)

ანალიზი

ანის შესაძლებელია მოეპოვებინა ბენოს მიმართ საათისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე.

წინაპირობაა ანისა და ბენოს შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. ამისათვის აუცილებელია მხარეთა ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა და ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების არარსებობა.

ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ობიექტურად შეცნობადი “გამოვლენისა” თუ “გაცხადების” მიუხედავად, არ არსებობდეს ბენოს ნების გამოვლენა. ეს შესაძლებელია, განპირობებული იყოს იმით, რომ ბენოს არ ჰქონოდა “მოქმედების ნება”.

ეს იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა დადასტურებულად, თუ ბენო არ განახორციელებდა გაცნობიერებულ მოქმედებას.

საქმის გარემოებებიდან იკვეთება “აბსოლუტური ფიზიკური ზემოქმედების” შემთხვევა. ცალსახაა, რომ ბენოს ნაცვლად მოქმედება ანიმ განახორციელა. მან ბენოს თავი “დააქნევინა”.

ბენოს არ ჰქონდა იმის გაცნობიერების საშუალებაც კი, რომ მან რაიმე მოქმედება განახორციელა.

შესაბამისად, შეუძლებელია, მის ასეთ “უმოქმედობას” რაიმე სამართლებრივად არსებითი შედეგი მოჰყოლოდა. ბენოს ნება არ გამოუვლენია.

ამასთან, ეს არათუ შეცნობადი იყო, არამედ უთუოდ იცოდა მისი “ნების გამოვლენის” ადრესატმა.

გარდა ამისა, თავის მხრივ გასაანალიზებელია, თუ რამდენად შეიძლება ანის ნების გამოვლენის შინაარსი (ოფერტი) მისვლოდა ადრესატს – ბენოს. დასაშვებია, იმის დასაბუთებაც, რომ ვერც ანის ნების გამოვლენა ვერ იქნება ნამდვილი, ვინაიდან მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის სავალდებულოა, რომ ბენოს ჰქონოდა მისი შინაარსის შეცნობის რეალური შესაძლებლობა. ეს მოცემულ შემთხვევაში ბენოს არ ჰქონია.

დასკვნა

ანის არ აქვს ბენოს მიმართ საათისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე.

21. “გაცხადების ილუზია”

ანი სარეკლამო ბროშურის დათვალიერებისას აღმოაჩენს უცნობი დიზაინერის, ბენოს, საინტერესო საგაზაფხულო კოლექციას და გადაწყვეტს რამდენიმე კაბის შეკვეთას. იგი ავსებს ბროშურაზე თანდართულ შეკვეთის განაცხადს, მაგრამ მალე გადაიფიქრებს და შევსებულ განაცხადს ნაგვის ყუთში აგდებს. მომდევნო დღეს დამლაგებელი გულო იღებს ნაგვის ყუთიდან შეკვეთის განაცხადს და ვარაუდით, რომ ანის სურვილს ასრულებს, განაცხადს საფოსტო ყუთში აგდებს. მალე ანი იღებს შეკვეთილ კაბებს.

ვალდებულია ანი, გადაიხადოს კაბების საფასური?

არსი

ნების გამოვლენას, რომლის ფორმირების დასრულებაც საეჭვოა, ადრესატთან მისვლის მიუხედავად, შეიძლება არ მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

წესი

“ნების გამოვლენა” სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული ნების ობიექტურად შეცნობადი გაცხადებაა.(47)

ნების გაცხადებაში ინდივიდის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის მასზე დამოკიდებული აუცილებელი წინაპირობების შესრულება იგულისხმება. სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული ნების იმ სახით გამოხატვაა აუცილებელი, რომ ის არა მხოლოდ აღქმადი იყოს ადრესატის მიერ, არამედ მის “საბოლოოობაში”, ანუ გაცხადების პროცესის დასრულებაში, არ არსებობდეს ეჭვის შეტანის საფუძველი.(48)

არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევაში “გაცხადების საბოლოოობისთვის” აუცილებელია ნების გამოვლენის ფორმირების პროცესის დასრულება, ხოლო მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევაში – მას ემატება მისი (ნების გამოვლენის) ადრესატისკენ მიმართვა ისე, რომ, ჩვეულებრივ, სავარაუდო იყოს ადრესატის მიერ მისი მიღება.(49)

შესაბამისად, აუცილებელია, “ნების გამოვლენა ბრუნვაში მოხვდეს გამომვლენის ნებით”, რომელსაც ჰქონდა საფუძველი, ევარაუდა და ივარაუდა კიდევ, რომ მისი ნების გამოვლენა ადრესატამდე მიაღწევდა.(50)

სსკ-ის 329-ე მუხლის I ნაწილით პირი თავისი ნების გამოვლენით მაშინ იბოჭება, თუ ცალსახაა, რომ “წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება”.

თუ ნება ინდივიდის ძალაუფლების სფეროს მისი სურვილის გარეშე ტოვებს, იქმნება მხოლოდ “გაცხადების ილუზია”. ნების გამომვლენმა თავად უნდა გადაწყვიტოს: გააცხადებს თუ არა ნების გამოვლენას, რა სახით და როდის. ამდენად, “არაგაცხადებულ” ნებას ადრესატთან

“მისვლის” შემთხვევაში არ მოჰყვება შესაბამისი სამართლებრივი შედეგები.

არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი გაცხადება ნების გამოვლენის ნამდვილობას უნდა იწვევდეს და გამცხადებელს უნდა ენიჭებოდეს შეცდილების უფლება. სხვა პოზიციის თანახმად, გადამწყვეტი უნდა იყოს ის, თუ რამდენად მიუძღვის ბრალი “გამცხადებელს” მისი ძალაუფლების სფეროში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე “გაცხადების ილუზიის” შექმნაში. იმ შემთხვევაში, თუ მას არ მიუძღვის ბრალი, ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად და, შესაბამისად, აუცილებელი არ იქნება შეცდილება.(51)

“გაცხადების ილუზიის” პრობლემის დაძლევისას მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსება მოითხოვს ნების გამომვლენისა და ადრესატის თანაბარ დაცვას. იმის გამო, რომ “გაცხადების ილუზია” გამცხადებლის მიერ არის გამოწვეული, როგორც წესი, მან თავად უნდა აგოს პასუხი გამომდინარე შედეგებზე. შესაბამისად, ნების გამოვლენის ადრესატი უფლებამოსილია, მოითხოვოს ნების გამოვლენის ნამდვილობის ნდობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მაგალითად, სსკ-ის 79-ე მუხლის II ნაწილის ანალოგიით ან წინასახელოშეკრულებოვალდებულების დარღვევის გამო სსკ-ის 317-ე მუხლის II ნაწილის, 316-ე მუხლის II ნაწილისა და 394-ე მუხლის I ნაწილის ურთიერთკავშირში გამოყენებით.(52)

44. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 232 და შემდგომში.

45. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 237 და შემდგომში.

46. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 239.

47. იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 242 და შემდგომში.

48. იქვე, 244, შემდგომი მითითებებით.

49. იქვე.

50. იხ. BGH, NJW 1979, 2032, 2033.

51. შესაბამისი პოზიციების მიმოხილვისათვის იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 244.

52. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 246.

ანალიზი

ბენოს შესაძლებელია ჰქონდეს ანისგან კაბების ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის II ნაწილიდან გამომდინარე.

ამ მოთხოვნის წინაპირობაა ბენოსა და ანის შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება და ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების არარსებობა.

ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორმხრივი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა.

ამ შემთხვევაში საეჭვოა ანის ოფერტი, კერძოდ ის, თუ რამდენად დასრულებულია ნების ფორმირებისა და მისი სათანადოდ გამოხატვის, ანუ გაცხადების, პროცესი.

ნების გაცხადება გულისხმობს ინდივიდის მიერ სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული ნების იმ სახით გამოხატვას, რომ მის “საბოლოოობაზე” ეჭვი აღარ დარჩეს. მიღებასავალდებულო ნების გამოვლენისას არ არის საკმარისი წერილობითი დოკუმენტის მხოლოდ შემუშავება და ხელმოწერა. ნების გამომვლენმა იგი უნდა მიმართოს ადრესატისკენ, ანუ განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელიც ადრესატის მიერ ნების გამოვლენის მიღებას მისთვის (ნების გამომვლენისთვის) სავარაუდოს გახდის.

მოცემულ შემთხვევაში ანის ნების ფორმირებისა და გამოხატვის პროცესი ჯერ არ იყო დასრულებული. უფრო მეტიც, ანიმ შესაბამისი ნების გამოხატვა “გადაიფიქრა” და შევსებული განაცხადი ნაგვის ყუთში ჩააგდო. ეს მოქმედება მიუთითებს ანის მიერ შესაბამისი ნების გამოვლენის სურვილის არარსებობას. ამდენად, დაუშვებელია, პირს მიეწეროს არასასურველი და, რაც მთავარია, არგამოხატული ნების სამართლებრივი შედეგები.

ამდენად, ანის ნება სამართლებრივად მისაღები ფორმით არ გაცხადებულა. შეიქმნა მხოლოდ გაცხადების ილუზია.

დასკვნა

ბენოს არ აქვს ანისგან ნასყიდობის ფასის, ანუ კაბების საფასურის გადახდის მოთხოვნა, სსკ-ის 477-ე მუხლის II ნაწილიდან გამომდინარე.